

ივერია

ფსი ნომრისა 6 კაპეიკი.

№ 22

კვირა, 30 ივლისი

ქვეყნის კვირეული გაზეთი

ფსი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, ტრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩენი:—შინაური მიმოხილვა, *—სა.—მოავრობის პოლიტიკური ავიტაცია, თ—ისა.—სწავლა-განათლება და მოავრობა, კ—სა.—სახელმწიფო ბიუჯეტი ინგლისში, რ—ისა.—სახელმწიფო, (პ. ლავროვისა), დონისა. * * (ლეჩხი), დ. თომაშვილისა.—საქართველოს ეკონომიური ისტორია, ივ. ჯავახიშვილისა.

შინაური მიმოხილვა

ამას წინაღ ტფილისის გუბერნატორი კახეთში იყო. სოფელ ლაგოდნთან მას დახვდნენ ახლად გაშენებულ სოფელ „შრომის“ გლეხები და მოახსენეს: „ჩვენ აქ ლაგოდნში ვცხოვრობთ ორმოცდაათ წლამდის. ჩვენ პირველად დაიწყოთ თამბაქოს მოყვანა, რომელიც ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევს, მაგრამ დღემდის ერთი დესეტინა მიწაც არ მოგვეპოვება და იძულებულნი ვართ დიდ ფასად იჯარით ავიღოთ მიწები და ისე ვიმუშაოთ. ამ ოცდაათი წლის წინაღ ლაგოდნელმა ქართველებმა, სომხებმა და რუსებმა მიწები ვითხოვეთ. რუსებს, ეხლანდელ ლაგოდნის „პოსელენცებს“, მისცეს მიწები, ჩვენ კი „ტუზუშეცებს“ არ მოგვცეს. უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში კიდევ ბევრჯერ მივმართეთ მოავრობას მიწებისთვის, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი გამოვიდა. უკანასკნელ ორ წელიწადში კიდევ მოიყვანეს რამდენიმე პარტია რუსებისა და დაასახლეს. ნამესტნიკი მიწებს დაგვიპირდა და ჩვენც შევედგეთ სოფლის მოშენებას იმ ადგილზე, რომელიც 1902 წლიდან გვექონდა დაპირებული. გავჩხეთ უფარვის ტყე, ავაყვით ხეები, გავიყვანეთ გზები და ჯერ-ჯერობით ასოც კომლიდან ოთხმოც კომლამდის დავსახლდით. მაგრამ ეს ალაგი ჯერაც არ დაუმტკიცებიათ ჩვენს და არც სახანავი მიწა მოუტყიათ. ჩვენს მეზობლად გადმოსახლებულ რუსებს კომლზე ოცდაერთი დესეტინა მისცეს, ახლად მოსულ რუსებს თითო მამაკაცზე ხუთი დესეტინა მიუზომეს, ჩვენ კი არაფერი მოგვცეს და იძულებული ვართ გადმოსახლებულ რუსებისგან იჯარით ავიღოთ დესეტინა ორ-სამ თუნად. ჩვენ იჯარას ვიხდით იმ მიწებში, რომელიც ჩვენზე გატეხილია და უფრო ტყეებისგან სახნავ მიწებად არის გადაქცეული. ჩვენ არა გვშურს რუსებისთვის მიწა, მაგრამ უსამართლობაა, როცა იმათ აძლევთ და ჩვენ კი ასე გეტოვებთ.“

მე განგებ ამოვწერე გაზეთ „შრომიდან“ ეს მეტად საინტერესო კორესპონდენცია, თუმცა მგონი ყველას უკვე წაკითხული უნდა ჰქონდეს იგი. ასეთი საყურადღებო კორესპონდენციები იშვიათად იბეჭდება ჩვენებურ გაზეთებში, სადაც ცხრა მეთაფი ადგილი უჭირავს პოლიტიკას და რუსეთის ქრონიკას, ხოლო ერთი მეთაფი ჩვენებურ პარტიულ კინკლაობას. მაგრამ საქართველოს ცხოვრების ქრონიკაში ზოგჯერ გაკვრით არის ხოლმე ნათქვამი, რომ განსაკუთრებით გადმოსახლებულთათვის დაარსებული საზოგადოება უშუა

რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსებს ელისო. მათთვის მოავრობამ აძლენი და აძლენი თუმანი გადასდო, სახელმწიფო ქონებათა მმართველმა გადმოსახლებულებს აძლენი და აძლენი დესეტინა მიუზომო, ხაზინამ თითო გადმოსახლებულ კომლს აძლენი თუმანი მისცა მეურნეობის გასამართავად, აძლენი თუმანი ასესხა თესლის საყიდლად ეა სხვ. და სხვ. იმავე ქრონიკაში მოხსენებული იყო, რომ გენ. გუბერნატორმა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შემოწირული ფული დაიჭირაო, გუბერნატორმა უარი უთხრა სესხზე ამა და ამ სოფელს (რასაკვირველია, ქართველებით დასახლებულს) და სხვ. ჩვენ ვკითხულობთ ასეთ ამბებს და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. ალბად ამასაც ისევე შეეჩვეით, როგორც ყოველ დღე ვარშავიდან მოსულ დეპუტების კიხვას, სადაც ნათქვამია, რომ დილას ამა და ამ ქუჩაზე პოლიციელი მოკლეს, ნაშუადღევს არყის ღუქანი გაძარცვეს, საღამო ყაშზე ჯაშუში დასჭრეს და შუალამისას ფოსტას დაეცნენო. მართალია, პოლიციის ამ მხრით არც ჩვენი სამშობლო ჩამორჩება, მაგრამ მეორე მხრით—თავის შინაურ საქმეების დაიწყებით, ჩვენ, ქართველებმა, წინ გავუსწარით რუსეთის ყველა კუთხეს. აქვე, ჩვენი თვალის წინ, დაუჯერებელი უსამართლობა ხდება რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, ჩვენ კი კრებებზე ისეთ რეზოლუციებს შევადგენთ, რომ ამ უსამართლობას ვადასტურებთ და კვერს ვუკრავთ (იხ. შარშანდელი რეზოლუცია სოც. დემ. კონფერენციისა გადმოსახლებულთა შესახებ). ქართველი გლეხები რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობენ, ტყეებს სჩხებენ, ხეებს ავსებენ, გზები ვაკავენ, დილიდან საღამომდის ერთ მტკაველ მწას ჩასციებიან და ნაყოფი კი სხვას ოჩება. საიდგანდაც, ცხრა მთის იქიდან ვილაციებს ვილაციები გადმოჰყავთ, აძლევენ მათ მუქათათ კომლზე ოცდაერთ დესეტინა მიწას, ოჯახის გასამართავად საქარო ფულს და ქართველებს კი ნება ექლევათ თავიანთივე მარჯვენით შემუშავებული მიწები გადმოსახლებულებისგან ორ-სამ თუნად იქირაონ თითო დესეტინა. „უსამართლობაა, როცა იმათ აძლევთ და ჩვენ კი ასე გეტოვებთ“-ო,—უთქვამთ შრომელ გლეხებს. თუ მართალია, რომ შრომელებს სწორედ ამ სიტყვებით გამოუთქვამთ თავიანთი პროტესტი, სწორედ მოგახსენოთ, ისინი გულცივი ფილოსოფოსები ყოფილან. უსამართლობა კი არა, ბოროტმოქმედებაა რუსის მოავრობის მხრით, რომელიც ამ მხრით არაფრით არ განიარჩევა უბრალო მმართველისგან: ერთს ართმევს იმის ნაშრომსა და ნადაგს და მეორეს აძლევს.

ლაგოდნეი და სოფელი შრომა პირველი მგალითი არ არის. გაიხსენეთ სოხუის მახლობლად გაშენებულ სოფლის მგალითი, სადაც მოავრობამ მეგრელებს ჩამოართვა მიწები და რუს ნასაღდათრებს მისცა. დასავლეთ საქართველოში ტვეა

აღარ არის, ერთი დესეტინა მიწა 500—1000 მანეთად ფასობს და იმავე დროს იქვე, სოხუმის ოლქში და შავი ზღვის ნაპირებზე მთავრობა ქართველებს უძრავ ქონების შექმნის უფლებას არ აძლევს. ნოვოროსიისკიდან დაწყებული ბათომამდლს აუარებელი ცარიელი მიწები, მაგრამ მთავრობა ამ მიწებს არავის აძლევს და სათადარიგო ფონდად აქვს შენახული მინისტრების და დიდ ბოზოლებისთვის. პირადად მე ვყოფილვარ სოჩაში და მინახავს, საუკეთესო მაწილები საჩუქრად აქვთ მირთმეული ვიტტეს, ერმოლოვის, კუროპატკინსა და ვილატ ვილატებს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველო შუა რუსეთზე უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, მაგრამ რუსეთის კოლონიური და გარუსების პოლიტიკა ამას არ დასდევს. ის ქართველ გლეხს უკანასკნელ ლუკმას ართმევს და თავის მონურ პოლიტიკის მსხვერპლს, გადმოსახლებულ რუსებს ურიგებს. ამის გამო მე მავანდებმა შარშანდელი რევოლუცია ჩვენებურ სოც.-დემოკრატიის კონფერენციისა, სადაც ნათქვამია, რომ სოც.-დემოკრატია წინააღმდეგობას არ გუწევს გადმოსახლებას, ხოლო გადმოსახლებულებს პროპაგანდის გაწევის საგნად გაიხდის. ისე გამოდიოდა, თითქოს პრტიის უხაროდა კიდევ რუსების გადმოსახლება, რადგან ახალ საპროპაგანდო წრეს იძენდა, თითქო ჩვენში აღარაფერ იყოს საპროპაგანდო. ოღონდ პატრიამ პროპაგანდისთვის საკირო მასალა და ტემა იშოვოს და მისთვის სულ ერთია, ხალხის ერთ ნაწილს წართმევენ ლუკმა პურს და ხვას მისცემენ, თუ ერთ ერს მეორეს უბად და მონად დაუყენებენ. ვეკვობ, რომ თითო პროპაგანდისტთა მამათ-მთავარმა ის. რამიშვილმა შესამ-ნოს რაზე ლავოდებელ რუსებს და მათში პროტესტი გამო წვიოს იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ასეთი შემოსავლიანი ბუდე გაუჩინა მათ. რა აქვთ საპროტესტო ლავოდებელ რუსებს? რუსეთში ერთი ნაქერი მიწაც არ ჰქონდათ და ქრონიკული შიმშილი მათი მუდმივი სტუმარი იყო, აქ კი თითო კომლამ ოცდა ერთი დესეტინა მიწა მიიღო, ამ მიწს „ტუზმეცებ“ იჯარათ იღებენ და თითო დესეტინაში ორ სამ თუქანს აძლევენ. შარშან ხმა გავარდა, რომ მთავრობა საქართველოში 200,000 კახაკის გადმოსახლებას აპირებს. არ ვიცი, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ჩვენებურ სოც.-დემოკრატებზე, მაგრამ კონფერენციის რეზოლუციის ძალით ისინი სიხარულით ცას უნდა მისწოდენ, რადგან 200,000 საპროპაგანდო კახაკი იშვიათი საჩუქარი იყო პარტიულ პროპაგანდისტებისთვის. მაგრამ 200,000 კახაკის გადმოსახლება, „საქმის“ მომლოდინე პროპაგანდისტთა სამწუხაროდ, კორი გამოდგა. კახაკები მრავლად გვეწვიენ, მაგრამ როგორ ვასკრა მათზე „პროპაგანდამ“, — ეს დეკემბერში ვნახეთ და ცხლაც საკმოდ ვხედავთ...

ნამესტნიკის თანაშემწემ მიცკევიჩმა ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორს ი. გამყრელიძეს შემდეგი შინაარსის ბრძანება გაუგზავნა: „რადგან ტფილისის ოლქის სასამართლომ თქვენ დამნაშავედ გიკნოთ კადეტთა კორპუსის მოწაფეების ცილის წამებაში, ამიტომ თქვენიავე თხოვნით უნდა თავი გაანებოთ სამსახურს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნილ იქნებით“. აი, კიდევ ერთი ნიმუში უსამართლობისა და უკანონობისა. მაგრამ ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ ეს ამბავი. შარშან პირველ გიმნაზიის მოწაფეებმა გამოსცეს გაზეთი „გზო“, რომელშიაც ეწერა, რომ 22 ოქტომბერს მომხდარ ხოცვა-გლეტვაში და

ძარცვა-გლეჯვაში ტფილისის კადეტებიც ერივნენო. კადეტთა კორპუსის დირექტორმა ეს ცნობა შეურაცხყოფად მიიღო და სასამართლოში უჩივლა გიმნაზიის დირექტორს გამყრელიძეს, რომელიც ოფიციალური რედაქტორი იყო „გზო“-სი. სასამართლომ გააჩნია ეს საქმე და გამყრელიძეს ცილასწამებისთვის ერთი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა სამედიკო სატულალოში. საქმის გარჩევას მეც დავესწარი და, როცა სასამართლოს განაჩენი მოვისმინე, ვაკვირებისგან პირლია დავრჩი. სასამართლოში აღმოჩნდა, რომ გამყრელიძის გვარი გაზეთის ბოლოში მხოლოდ ოფიციალური ხელისმოწერა იყო, ნამდვილ რედაქტორებად კი ორი გიმნაზიელი ყოფილა. ნამდვილმა რედაქტორებმა განაცხადეს, რომ გამყრელიძემ კორექტურის ფურცლიდან ამოშალა ის სიტყვები, რომელ-სთვისაც ის პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვსწარიით იმ ფრაზის ამოღება, რადგან გაზეთი უკვე შეკრული იყო და მისი დაშლა და ხელმოკრედ შეკრა გაზეთს დაავიანებდაო. ამასთან რედაქტორებმა წერილის ავტორიც დაასახელეს და ამით „დამნაშავე“ მოსამართლეებს მისცეს ხელში. ერთი სიტყვით ყველასთვის ცხაღებუ უხადესი იყო, რომ გამყრელიძე არაფერში ყოფილა დამნაშავე, მაგრამ... სასამართლომ არაფერს არ დაზედა და უდანაშაულო კაცი გამატუნა. ეს პირველი უსამართლობა გამყრელიძის წინაშე ჩაიდინა ტფილისის ოლქის სასამართლომ. მეორე უსამართლობა და უკანონობა ჩაიდინა ნამესტნიკის თანაშემწემ მიცკევიჩმა, რომელიც, ვითარცა მთავრობის წარმომადგენელი, წესით დამცველი უნდა იყოს კანონიერობისა. ბნმა გამყრელიძემ ოლქის სასამართლოს განაჩენი პალატაში განასაჩივრა, მაშასადამე, შეიძლება პალატამ გამყრელიძის „დანაშაულს“ უფრო სამართლიანის თვლით შეხედოს და გაამართლოს. ბ-ნი მიცკევიჩი კი სასამართლოს დღევინებებს აღარ უცდის და ბნ გამყრელიძეს სამსახურიდან გასვლას უბრძანებს. ეს ცხადი უკანონობაა და მისი გამართლება არასჯიხით არ შეიძლება.

მთავრობის სურვლი ადვილი გასაგებია. ბ-ნი გამყრელიძე ძალიან უყვართ გიმნაზიელებს, რომელთაც შარშან მეორე გიმნაზიიდან პირველში მუსიკით და დიდი ამბით გამოისტუმრეს. აქედან ცხადია, რომ ბ-ნი გამყრელიძე „სიამელი“ კაცია არ უნდა იყოს...

ქართველ ქალთათვის ქართულ გიმნაზიის დაარების მოთავე კომიტეტმა კავკასიის სამოსწავლო ოლქს მხარუნელებს წარუდგინა გიმნაზიის სამოსწავლო გეგმა. რომელშიაც ნათქვამია, რომ სწავლა, რუსულ ენისა, რუსულ ისტორიისა და გეოგრაფიის გარდა, ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდესო. ოლქის მხარუნელების მოადგილემ ლაპატანსკიმ ასეთი „არარუსული“ გეგმა „არ მოიწონა და არ დამტკიცა.“ ამაზე უფრო ადვილი და გასაგები პასუხი შეუძლებელია: არ მომწონს და არ დავამტკიცებ! წადით და მიჩივლო! „არ მომწონს“; „არ ვამტკიცებ“, „არ შეიძლება“, — აი ჩვეულებრივი პასუხი საზოგადოდ ბიუროკრატისა და კერძოდ-კავკასიის ადმინისტრაციისა. შარშან წ-ნ მ ნისტრუა საბჭომ გამოსცა დროებითი წესები, რომლითაც პოლონეთის კერძო საკომერციო სასწავლებლებს ნება ეძლეოდათ ყველა საგნები, გარდა რუსულ ენისა, რუსულ ისტორიისა და რუსეთის გეოგრაფიისა, პოლონურ ენაზე ესწავლებინათ. სამაგიეროდ მინისტრთა საბჭომ ამ სასწავლებლების მოსწავლეთ ჩამოართვა ის უფლებები, რომლითაც იმ დრომდის სარგებლობდნენ. მინისტრთა საბჭოს ვგონა, რომ პოლონელები ზემოხსენებულ

უფლებებს უფრო დააფასებდნენ, ვიდრე სამშობლო ენის ხმარების უფლებას სასწავლებელში და უარს იტყოდნენ „რეფორმებზე“, მაგრამ პოლონელებმა ამაზე ხმა არ ამოიღეს, უარპყვეს მოსწავლეთა უფლებები და ყველგან პოლონურ ენაზე შემოიღეს სწავლა. რაღა დაშავა ქართულმა გიმნაზიამ? რატომ ჩვენც არ შეგვიძლიან სამშობლო ენაზე სწავლა? წრეულის სათავად-აზნაურო ქართულ საჯარო გიმნაზიის კომიტეტმა, საბედგოგო საბჭომ და საზოგადო კრებამ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ის კი აღარ მოაგონდათ, რომ ბ-ნ ლაპატინსკის შეუქლიან „არ მოიწონოს“, „არ დაეთანხმოს“ და „არ დამტკიცოს.“

* *

ქართველმა სამღვდლოებამ, როგორც იყო, სიტყვის თავი დაანება და საქმეზე გადავიდა. რგი დადგა იმ ერთად ერთ გზას, რომელიც გამარჯვებისკენ მიდის. ეს არის აქტიური, რევოლუციონური გზა. მიზეზი თვითონ სინოდმა მისცა, რომელმაც მოითხოვა მღვდელ გიორგაძის დასჯა იმის გამო, რომ მან იმერეთის სამღვდლოების სახელით დეპუტატთა აცნობა სინოდს, ახალ ეგზარხოსს ტყუილად ნუ გამოვგზავნიოთ. აქაურმა სინოდალურმა კანტორამ შესაფერი პასუხი გასცა სინოდს და შეატყობინა, რომ გიორგაძის დეპუტატი იმერეთის სამღვდლოების სურვილით იყო გამოგზავნილი, ამიტომ გიორგაძე დამნაშავე არ არის და ვერ დაესჯითო. სინოდალურ კანტორას მხარი მისცა გურიისა და იმერეთის სამღვდლოებამ, რომელმაც ოთხი მღვდლის პირით ასეთი დეპუტატი გაუგზავნა სინოდს: „იმერეთისა და გურიის სამღვდლოება მტკიცედ ადგია თავის მოთხოვნებს, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ გამოსთქვა მან თავის პეტროპოლისში, და ცხარე პროტესტს აცხადებს ეგზარხოსის დანიშვნის გამო, ვინც უნდა იყოს იგი.“ სინოდმა ჩვეულებრივ ბრძანება გამოუგზავნა ეპისკოპოსებსა და სინოდალურ კანტორას: დეპუტატების ავტორები—მღვდლები ფოფხაძე, თოთბაძე, ჩხაიძე და წულაძე შესაფერად დასაჯეთ და მღვდლობა აუკრძალეთო. იმედია ჩვენი ეპისკოპოსები და აქაური სინოდალური კანტორა ეხლავე ისედაცვე პასუხს მისცემენ ანაფორაში გამოწყობილ ჟანდარმთა დეპარტამენტს, რომელსაც „უწმინდესი“ სინოდი ეწოდება, როგორც პირველად მისცეს. მაგრამ ქართველ სამღვდლოების მიზანი მარტო ამით ვერ განხორციელდება. საკმარისი არ არის პროტესტი; საჭიროა ერთსულოვნება, ერთი პირი და ერთი მტკიცე გადაწყვეტილება. არ შეუუწინდეთ არაფერს და ვიბრძოლოთ იმ დრომდის, სანამ ჩვენსას არ შევასრულებთ. სინოდმა რომ ორასი მღვდელი დასაჯოს, დანარჩენებმაც ერთი პირი უნდა შეკრან და დასჯილებს მიემხრონ. როდემდის, ან რამდენ მღვდელს უნდა აუკრძალოს სინოდმა მღვდლობა და რომელი ერთი უნდა გადასახლოს მონასტრებში? სინოდი ვერ გაბედავს ხალხის დატოვებას უპლდლოდ. ქართველ სამღვდლოებებს მშვენიერი მაგალითი აქვს თვალწინ: ეს არის სომხის სამღვდლოება, რომელმაც ნათლად დაუტკიცა მას, რომ ვისაც გამარჯვება უნდა, მას ბრძოლა უნდა უნდოდეს.

მთავრობის პოლიტიკური პოზიციისათვის

შეუძლებელია, ხალხის პოლიტიკური ცხოვრება ბუნებრივ განვითარების გზას არ ასცდეს იქ, სადაც მთავრობა პოლიტიკურ ავტორიტეტს ეწევა და თავის ძალითა და უფლებებით

სარგებლობს იმისთვის, რომ დაამარცხოს თავისი მოპირდაპირი და თვით სახელმწიფო თავის ნებაზე მოაწყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მთავრობა გულზე ხელდაკრფილი გაჩერდება და საქმეში არ ჩაირევს, როდესაც ხედავს, რომ ხალხი მის საწინააღმდეგოდ ამხედრებულია და მას განადგურებას უქადის. ამნაირ შემთხვევაში მთავრობა, ან უკეთ მთავრობის სათავეში მყოფი პირები, თავს იცავენ, „მტერს“ იგერებენ, მათ წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში გამარჯვებას ცდილობენ და ამ გამარჯვების მოსაპოვებლად მოწინააღმდეგეს არ ზოგავენ, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან...

მთავრობის სათავეში ხან ერთი რომელიმე პირი სდვას, თვითმპყრობელი მეფე, რომლის გარშემო თავს იყრიან მისი ნათესავები და ახლობელები, ყველანი, ვინც მის თვითმპყრობელობით სარგებლობენ და საზრდოობენ,—ხან ხალხის ერთი რომელიმე ნაწილი, ერთი კლასი,—ხან კიდევ ერთი ეროვნება ბატონობს სახელმწიფოში და მის საზღვრებში ყველა დანარჩენი ერები მას ემონებიან. და, აი, როდესაც ამ გაბატონებულ პირის, კლასის ან ეროვნების უფლებათა შეზღუდვას ცდილობს განთავისუფლების გზაზე დამდგარი ხალხი, მთავრობა თავს იცავს და ხალხს ბრძოლას უწყებს, რომ გამარჯვებულმა უცვლელად დასტოვოს თვითმპყრობელ მეფის, გაბატონებულ კლასის ან ეროვნების ბატონობა სახელმწიფოში.

ბრძოლა განსაკუთრებით ხშირი და აუცილებელი ხდება თვითმპყრობელ სახელმწიფოში, სადაც განუსაზღვრელ უფლების მქონე ხელმწიფე იმავ დროს მქონებელ კლასის წარმომადგენელ-დამცველი არის და სახელმწიფოში კლასიური და ეროვნული ბრძოლა, კლასიურისა და ეროვნულ მოწოდებად შეიქცევის მოსაზრობად დაწყებული, წინააღმდეგობას იწვევს მთავრობისაგან, რომელიც ასეთ ბრძოლას თავის საწინააღმდეგოდ სთვლის და რომელიც სასტიკად სჯის ყველას, ვინც იბრძვის სახელმწიფოში თავისუფლების დასამყარებლად. ამიტომ თვითმპყრობელ სახელმწიფოში შეუქლებელი ხდება კლასთა ბრძოლა და ეროვნულ-კულტურული ქიშპობა, ამიტომაც იქ ყველა, ვინც რამე დაჰმონებას განიცდის და ამ მონობის მოსპობას ცდილობს,—თავის ბრძოლაში ჯერ თვითმპყრობელობას ეხლება და იძულებული ხდება, ჯერ მას ებრძოლოს, ჯერ პოლიტიკური თავისუფლება მოაპოვოს, რადგანაც უმისოდ ყოველივე სხვა ბრძოლა სახელმწიფოში შეუძლებელია. ამიტომ დღეს რუსეთში სხვა და სხვა კლასის, ეროვნების და მიმართულების წარმომადგენელი საერთო ძალით ცდილობს თვითმპყრობელობის მოსპობას, რომელიც მძიმე ლოდივით აწვება ხალხის ცხოვრებას და მას ბუნებრივ განვითარებას არ აცლის. მართალია ამ მიზნის მიღწევას ყველა ერთისა და იმავე საშუალებით არ ფიქრობს და ყველას ცეცხლითა და მხვილით არ უნდა თვითმპყრობელობის დაშლა, მართალია ისიც, რომ მისი დაშობა ყველას იმავე მიზნით არ უნდა და რომ სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენლებს თავისებურად აქვთ გამოხატულის ის წყობილება, რომელიც უნდა დაჰყარდეს სახელმწიფოში,—მაგრამ ყველა თანასწორად ნატრობს თვითმპყრობელობის მოსპობას და გულწრფელად იბრძვის იმისთვის, რომ ეს ნატურა მალე განხორციელდეს.

თავის თავად ცხადია, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას მთავრობა გულგრილად არ დაუხვდებოდა და ყოველ საშუალებით ეცდებოდა თავის უფლება უპირატესობის

შერჩენას. სიმკაცრე და დაყვავება, მოწინააღმდეგეთა დატუსაღება და რეფორმების დაპირება, პლაცე და სვიატოპოლკ-მირსკი,—ყველაფერი სცადა მან იმისთვის, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიცხვი ან ძალა შეემცირებინა, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა, რადგანაც უკანასკნელ წლების ამბებში ნათლად დაუმტკიცეს ხალხს, რომ ამ მთავრობას უზარმაზარ რუსეთის სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობისთვის შესაფერი უნარი და გამოცდილება არა აქვს. რუსეთ-იაპონიის ომი ამის უკანასკნელი საბუთი იყო, —ამასვე მოწმობდა მთელი ის მთავრობის საფინანსო პოლიტიკა, რომელმაც შიდა რუსეთს ყოველწლიური შიმშილობა ვერ ააცილნა, შინაგან სამინისტროს გაბატონება და ხალხის კულტურული დაბნელება. და რომ აქ ნამდვილი ბოროტმოქმედებაც იყო ხშირად მმართველების მხრივ, ამას ამტკიცებს თვით იგივე რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც ხელმწიფის ტახტთან დაახლოვებულ ზოგიერთ პირთა ანგარებით და მანჯურიაში გამიღობების სურვილით გამოწვეული გამოდგა.

მაგრამ თვითმპყრობელი წრეები რისი თვითმპყრობელი იქმნებოდნენ, რომ მათ თავისი უფარვისობა და დანაშაული ეცნათ და ქვეყნის საკეთილდღეოდ სახელმწიფოს საქმეთა მართვა-გამგეობა ჩაებარებინათ, მათთვის, ვისაც ხალხი არჩევდა და ვისაც მათი გაძლოლა უტეოესად შეეღებოდათ, თვითმპყრობელთა თვალში ხალხი და მისი ავლადობა სახელმწიფოს ძლიერება და სიმდიდრე მათ, ამ თვითმპყრობელებს, უნდა ემსახურებოდეს და სანამ მეფე და მისი ახლობელები უფუფუნებაში ცხოვრებას ახე-ხებენ და მთ ხალხს ნაოფლარით საკუთარ ჯიბეების ავსება ეცე-ხებათ,—მათს ახრით,—საქმე „კარგად მიდის“, სახელმწიფო მდიდარი და ბედნიერი. სახელმწიფოს დაწხოება, ხალხის უბედურებად მიაჩნით მათ ხალხის გამოფხიზლება და სახელმწიფო საქმეებში ჩარევა, რადგანაც ამით ლაგამი ესხება მათ უსირცხვილო გაბატონებას და ხალხის სახაზინო ფულის გაფლანგვას ბოლო ედება. თავის კერძო უბედურებას თვითმპყრობელები ხალხის ქვეყნის უბედურებად აცხადებდნენ, თავის შერყეულ ტახტის გასამარგებლად ხალხს უწოდებდნენ, — ხალხის დახმარებით ცდილობდნენ გაეკედათ ხალხისავე დასამარგებლად გამზადებული ბოკალი. მოუხერხებიათ კიდევ ხან და ხან იქ სადაც ხალხს ჯერ საქმარისად შეგნებული არ ჰქონდა ის უტყუარი ქეშმარიტება, რომ ვერც ერთი ხელმწიფე, რა გინდკეთილი იყოს იგი, ვერ განაგებს ქვეყანას ხალხის საკეთილდღეოდ და თავის კერძო სარგებლობას ვერ დაიფიწყებს.

რუსეთშიაც მთავრობა ამ გზას დაადგა და სათათბიროს მოწვევით აპირებდა თავის შერყეულ ავტორიტეტს განსტკიცებას, რადგან ეგონა რომ „დამსჯელ რაზმებით“ შეშინებული ხალხი მთავრობის მოწინააღმდეგეთა არჩევას ვერ გაბედავდა. მაგრამ მოლოდინი გაუტრუვედა: სწორედ ამ „დამსჯელ რაზმების“ მოქმედებით გაბრაზებულმა ხალხმა სათათბიროში თავისი მებრძოლი ბელადები გაგზავნა და სათათბირომ ვარკვევით გამოაცხადა, რომ ხალხს სურს რუსეთში ნამდვილი წარმომადგენლობა დაჰყარდეს და ხელმწიფეს და მის ახლობელებსაც უფუფუნება აღარ ჰქონდეთ ყოველივე სასუხისმგებლობის გარეშე იმოქმედონ და ძირი გაუთხარონ ხალხის საერთო კეთილდღეობას.

რაკი სათათბიროს მომხრობა ან ხალხში მისი სახელის გატება შეუძლებელი გამოდგა, მთავრობამ გადაწყვეტა მისი დათხოვნა და ეს გადაწყვეტილება 8 ივლისს სისრულეში მოიყვანა. მაგრამ სათათბიროს დათხოვნით მთავრობა არ

აპირებს უწინდელ წყობილებას დაბრუნებას, მას სურდა და ახლაც იგივე სურს: თავისი ახლანდელი ბატონობა შეირჩინოს, მაგრამ შეირჩინოს არა ძალით, არამედ ხალხის სურვილით და ამიტომ სათათბიროს დათხოვნის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ახლად არჩეული სათათბირო უნდა შეიკრიბოს ხელ ახლად მომავალ წლის 20 თებერვალს და ახლაც სტოლიპინი აცხადებს, ხელმწიფეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რუსეთში კონსტიტუცია შემოიღოს და საამისო რეფორმები შეიმუშავოს.

რომ მთავრობას მართლა სურს რუსეთში საკონსტიტუციო წყობილების თუნდ გარეგანი ფორმები შემოვიდეს, ამაში ექვის შეტანა შეუძლია ყველას, ვინც ხელდასამვე მთავრობის თვითმპყრობელურ ძალმომრეობას, მაგრამ, რომ იგივე მთავრობა გრძნობს ამ რეფორმების შემოღების აუკიდებლობას და ძალაუბნებურად იკუფებს ხალხის წარმომადგენლობას, —ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ მხოლოდ ფორმების შემოღებით აპირებს მთავრობა რეფორმების დასრულებას. საქმით მას ისევე ძველი ბატონობა სურს და ამ ორ შეუთანხმებელ რამეების შესათანხმებლად მან ჯერ მოათათბირო „ლუმა“, „სათათბირო“ გამოიგონა, ხალხს წარმომადგენლების არჩევს უფლება მისცა, მხოლოდ ამ წარმომადგენლებს საქმეში გადაწყვეტი ხმა წართვა და აწაიარის, ყოველივე რეალურ მნიშვნელობას მოკლებულ სათათბიროთი აპირებდა იგი საქმე ისე მოეგვარებინა, რომ არც მწვალი დამწვარიყო და არც შამურჩი. შემდეგაც, როცა ხალხის საერთო მოთხოვნის გავლენით მთავრობა იძულებული შექმნა იმავე სათათბიროსთვის გადამწყვეტი ხმა მიეცა კანონების გამოცემაში, ეს საკანონმდებლო მუშაობა მინც ისეონაირად შეზღუდული იყო სხვა და სხვა წესებით, რომ ნამდვილად ყველა საქმე ისევე იმავრობის ხელში რჩებოდა და თვითმპყრობელი მეფე წინანდელივით უნდა ყოფილიყო ქვეყნის ამშენებელ-დამაქციველი.

ამისდამიუხედავად, სათათბირომ მინც იმდენი საოპოზიციო ძალა და მნიშვნელობა გამოიჩინა, რომ მთავრობამ თავისთვის საუკეთესოდ სცნო მისი ჩამოშორება და ახალ დებუტატებრს არჩევა.

მართლაც, მთავრობისთვის და თვით ხალხისთვის მოულოდნელი იყო პირველ არჩევნების შედეგი და მთავრობამ ამ არჩევნებში თავისი ბრწყინვალე დაპარცხება ახსნა იმით, რომ სრულებით მოუმზადებელი დახვდა არჩევნებს და ბურთი და მოედანი კენქის დროს თავის მოწინააღმდეგე ელემენტებს დაუთმო. მას იმედი აქვს, რომ მეტი სიფხილვე და წინდახედულობა თუ გამოიჩინა, ხალხის ზომიერი ელემენტები მეტ წარმომადგენლებს აირჩევენ და მთავრობას ეყოლება თვითმპყრობელობის მომხრე სათათბირო, რომელიც თავის ავტორიტეტით შემოსავს მეფის თვითმპყრობელობას და სახელმწიფოში გაბატონებულ და მოთარეშე წყევების მოქმედებას დააჯანყებს.

საამისო მეკადინეობას მთავრობა ახლაც შეუღდა. პეტერბურგის გაზეთში გადმოცემული ცნობა მართალი თუ არის, მთავრობა მომავალ არჩევნებისთვის სააგიტაციოდ ახლაც ემზადება: იგი აპირებს აუარებელ სააგიტაციო წიგნაკების და პროკლამაციების გავრცელებას, —რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში ერთგულ ჩინოვნიკებს და მთავრობის მომხრე წრეებს ევალებათ საარჩევნო სიგნის გადსინჯვას, რომ არც ერთი მთავრობის მომხრე კენქი არ დაიკარგოს და რომ ძველ წყობილებისთვის თავდადებული ელემენტები სრულად გამოცხადდნენ დებუტატების არჩევნების დროს.

ამავე საავტორო მიზანს ემსახურება მთავრობისგან მოწინააღმდეგე ელემენტების თვალ-ყურის დევნა და შესუსტება, მოწინააღმდეგეთა ატუსაღებენ ახლაც ისევე, როგორც 17 ოქტომბრის წინეთ ატუსაღებდნენ, გაზეთებს ჰკეტავენ, როგორც ცენზურის განუსაზღვრელ ბატონობის დროს და კრება-მიტინგების უფლებას არ იძლევიან,—საამისო ცირკულიარი ახლა ადგილობრივ ადმინისტრაციასაც მოსვლია.

მთავრობა საბრძოლველად გამოდის, როგორც ნამდვილი პოლიტიკური პარტია, და ეს პარტია მით უფრო საშიშია რომ მის ხელთ არის ჯარი, სახელმწიფოს ხაზინა და ამ ხაზინით მცხოვრები აუარებელი სახელმწიფო სხვა და სხვა მოხელე, რომელიც ყოველ 20 რიცხვს შეჰყურებს ხელში მთავრობას და მისგან თავის საკვებ ჰამაგირს იღებს.

მაგრამ ახლა მთავრობის პოლიტიკურ ავტორიტეტის ნიადაგი აღარ მოიპოვება. ჯარი დღეაღეს, სოფელი რთომინებიდან გამოდის და აგრარული მოძრაობა თავის სტიქიურ ძალით რუსეთის სხვა და სხვა კუთხეს ედება. საზოგადოება მტკიცედ და შეურყეველად თავის მოთხოვნაზედ სდგას და მისი დამარცხება არ შეიძლება. მთავრობის წარმომადგენელთა ავტორიტეტის მთავრობისთვის სასურველი შედეგი ვეღარ მოჰყვება და ახალი არჩევნების დროს ხალხი ისეთსავე საოპოზიციო დემუტატებს აირჩევს, როგორც პირველ არჩევნებში მოიქცა. რა შეუძლია მთავრობის პოლიტიკურ ავტორიტეტს. როდესაც თვითმპყრობელ წყობილების საძირკველი უკვე შეიწვრა და შენგრეულ საძირკველზე ძველი წესების შერჩენა ცოტა ხნით შეიძლება, სამუდამოდ დარჩენა კი ყოველად წარმოუდგენელი რამ არის. როგორც ფესვებ გამზარი მცენარე ბუნების კანონების ძალით უთუოდ გახლება, ისევე აუცილებლად მოიხსობა თვითმპყრობელობა იქ, სადაც გამოფხიზლებულმა ხ ღხმა თვითმპყრობელობის უფარგ-სობა შეიგნო, და როგორც ასეთ მცენარეს ვერას უშველის მორწყვა და მოვლა, ისე ვერ გადაარჩენს მოსპობისაგან თვითმპყრობელობას მთავრობის პოლიტიკური ავტორიტეტი...

თ—ა.

სწავლა-განათლება და მთავრობა

ის მთავრობა, რომელიც ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებაზე არ ფიქრობს, ხალხის მტერია და ხალხს განგებ სტოვებს უმეტრად. რომ ამ უმეტრებაზე თავის ბატონობა ააკოს.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა სწავლა-განათლების მდგომარეობა რუსეთში, რადგანაც დღეს ხალხი პასუხს სთხოვს და ანგარიშს უსწორებს თავის ახლანდელ მთავრობას და ანგარიშის გასწორების დროს კი აუცილებლად საქიროა იმისი გათვალისწინება, თუ როგორი სამსახური გაუწია მთავრობამ ხალხს, როგორის გულმოდგინებით ემსახურებოდნენ ქვეყნის კეთილდღეობას ისინი, ვის ხელშიაც იყო დღემდის სახელმწიფოს ძლიერება და ფული.

რუსეთში 1900 წ. სწავლა-განათლების საქმეზე დაიხარჯა 50 მილიონი მანეთი, —ამ ფულში მხოლოდ 10 მილიონი მანეთი მთავრობის დახარჯულია, დანარჩენი 40 მილიონი ან ერობებს გადაუხდიათ, ან სოფლის საზოგადოებებს და ქალაქებს, ან კერძო პირებს შემოუწირავთ.

ეს ხარჯი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ისეთი მცირეა, რომ თითქმის არარას უდრის, მართლაც, თითო მცხოვრებზე სახელმწიფო ხარჯი საშუალო რიცხვით მოდის 15 მანეთი,

ამაში მხოლოდ 7⁴/₅ კაპ. პირველ დაწყებითი სწავლის მოწყობაზე არის დახარჯული, თუმცა იმავე დროს მთავრობა სამხედრო საქმეებზე ხარჯავდა თითო მცხოვრებზე 3 მან. 40 კ. ამ ნაირად ყოველი ჩვენგანი ყოველ წლიურად იხდის 3 მან. 40 კ. ხარჯებზე და მხოლოდ 7⁴/₅ კაპ. სახალხო სწავლა-განათლებაზე. მთავრობა თავის ხარჯების მხოლოდ 1/150 ნაწილს ანდომებდა სახალხო განათლებას.

შევედართ ეს ციფრები საზღვარგარეთ სწავლის მდგომარეობას, სახალხო განათლებისთვის იხარჯება საშუალო რიცხვით თითო მცხოვრებზე.

ახ. ზელანდიაში	6 მან. 50 კაპ.
ამერიკის შეერთებულ შტატებში	4 — 86 —
გერმანიაში	2 — 45 —
შვეიცარიაში	2 — 43 —
საფრანგეთში	1 — 66 —

თითო მოსწავლეზე ხარჯება

ახალ ზელანდიაში	40 მან. — —
ჩრდილო-ამერიკაში	23 — 60 —
რუსეთში	10 — 93 —

ყველ-სათვის ცხადია, რომ რუსეთში მთავრობა ხალხის განათლებისთვის არ ზრუნავს, —ან როგორ უნდა განათლდეს ხ ღხი, როდესაც ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი მოდის

ნორვეგიაში	300 მცხოვრებზე
შვეიცარიაში	441 —
იტალიაში	520 —
შვეიცარიაში	706 —
რუსეთში კი	2637 —

უმადლესი სასწავლებლები რომ ავალოთ, იქ განსაკვირვებელ განსხვავებას შევხვდებით. მართლაც, ერთი უმაღლესი სასწავლებელი მოდის

იტალიაში	476,000 მცხოვრებზე
შვეიცარიაში	444,000 —
რუსეთში	10,615,000 —

თვით ოსმალეთშიაც კი ხალხის რაოდენობის მიხედვით მტეი ბევში დაიარება სასწავლებელში, ვიდრე რუსეთში.

ან შეადაროს ადამიანმა რუსეთის სახალხო სასწავლებლები უცხოეთისას. უცხოეთში მთავრობა და ხალხიც ზრუნავენ იმაზე, რომ საუკეთესოდ ააშენონ სასწავლებლები და იქ სკოლის შენობა საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს და ჰიგიენურად საუკეთესოდ მოწყობილია, რუსეთში კი ნოტიო და ბნელ ოთახში თავს უყრიან ბავშვებს და ამ ოთახში ხშირად ისეთი სიცივეა, რომ ბავშვებს გული ეყრებათ...

რაკი სასწავლებლების რაოდენობაზე და მათ მოწყობაზე თავს არ იწუხებს მთავრობა, ცხადია, რომ არც წიგნთ-საცავ-სამკითხველოების, სახალხო უნივერსიტეტების, საჯარო ლექციების განმარტვის შეუწყობდა ხელს და. მართლაც, ციფრებიც არ არის საქირო იმის დასამტკიცებლად, რომ ამავების მოწყობაში უმაღლესი მთავრობა და მისი დაბალი შიხელებიც ყოველთვის ხელის შემწეული ყოფილან, ყოველთვის ათასნაირ დაბრკოლებით ცდილობდნენ კერძო ინიციატივაც ჩაეჭროთ და საზოგადოდ შეუძლებლად გაეხადათ სოფელში სწავლის შეტანა და სოფლის გამოფხიზლება.

ამის შედეგი? ამის შედეგი ის არის, რომ ჯარში გაწვეულთა შორის წერა კითხვის უცოდინარი ყოფილა ყოველი ათი ათას ჯარის კაცზე.

საქსონიაში	1
ბადენში	3
შვეციაში	20
შვეიცარიაში	60
გერმანიაში	60
თვით იაპონიაში	1560
რუსეთში კი	6000 ე. ი.

ათ კაცზე ექვს წერა-კითხვის ცოდნაც ჰქონდა!

თვით სახალხო მასწავლებლების მდგომარეობა რუსეთში იმას საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ მთავრობა სწავლა-განათლების მტერია. მასწავლებელი რუსეთში ჯამაგირად იღებს წლიურად 270 მანეთს, საზღვარ გარედ კი ზოგიერთ ქვეყნებში სახალხო მასწავლებელს ეძლევა ათასი და ზოგან ორი ათასი მანეთიც ყოველ წლიურად. რა მასწავლებელი უნდა იყოს მასწავლებელი, რომელიც წელიწადში ოცჯამჯერ თემანს სჯერდება, როდესაც უბრალო მუშაკი კი ამაზე მეტს იღებს ზოგერთ დარგში მუშებს ხომ თითქმის ორჯელ ამაზე მეტი ეძლევათ, მაგრამ უყურადღებოდ დატოვებულ სწავლა-განათლების საქმეში თვით მასწავლებელთა მდგომარეობაც უყურადღებოდ არის დატოვებული და მასწავლებლად ცდილობენ ისეთ პირების აყვანას, რომელთაც არც მასწავლებლობა შეუძლიათ და არც სხვა რამე რთულ საქმის ასრულება,— მთავრობას უნდა, რომ ამ მასწავლებლებმა თვითონაც მხოლოდ წერა-კითხვა იცოდნენ და ბავშვების ან მოზრდილების გონების გახსნისთვის ვერ იმუშაონ.

ეს მოკლე მიმოხილვაც საკმარისია იმისათვის, რომ აღამაინა ნათლად დანიხოს, თუ რამდენად ცდილობს რუსეთის მთავრობა ხალხში სწავლა განათლების შეტანას, რამდენად უნდა მას, რომ ხალხი თვალისათვის უყურებდეს თავის ცხოვრებას და სახელმწიფოს ახლანდელ მდგომარეობას ან თვით მთავრობის მოქმედებას უკვირდებოდეს. ხალხში გაბატონებული, თვითმპყრობელურ, განუსაზღვრელ უფლებებით განებივრებული, იგი ხალხის მონობას სქედავს ხალხისავე უმცირებით და თავის ტახტს უმეცარ ხალხის დაბრკელებაზე აშენებს.

ის მთავრობა, რომელიც ხალხის განათლებაზე არ ზრუნავს, ხალხის მტერია და, ვიმეორებთ აქ და დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი თავის დამარბივებელ—დამაბრკელებელს ინგარიშს მოჰკითხავს და არ აპატიებს მთავრობას, რომ იგი თავის ბატონობის დროს ჯარებზე აუარებელ ფულს ხარჯავდა და ხალხს კი უმეცრად სტოვებდა, რომ იგი ჯარის შესანახავად და თავის სამეფო ტახტის გასამაგრებლად თითო მცხოვრებს სამ მანეთ ნახევარს ახდევინებდა,—ხალხის განათლებისთვის კი სულზე რვა კაპეკსაც ვერ იმეტებდა.

და როცა სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობა ხალხისავე ხელში გადავა და გადადგებიან ახლა ამ საქმეების სათავეში დამდგარი, ხალხის დამმონებელი წარები, —მაინ ხალხი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფოს ყველა კუთხეში სწავლა-განათლების შეტანას, რადგანაც მხოლოდ განათლებულ ხალხს შეუძლია თანამედროვე ყოველმხრივ კულტურის შეთვისება და დაწინაურება, როგორც სულიერად, ისე ეკონომიურადც, ცნობილია, რომ განათლებული ქვეყანა გაუნათლებელს თავის მატერიალურ, ქონებრივ კულტურითაც წინ უსწრობს.

ბ. ს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ინგლისში

ყოველ ერის ისტორია გვიჩვენებს, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრება და წყობილება უდრის მის საზოგადოებრივ ცხოვრებას. თუ ერის ცხოვრება მარტივია, მისი პოლიტიკური წესობილებაც რთული არ არის, თანდათან ვითარდება ერის შინაური ცხოვრება და მასთან ერთად სახელმწიფო წყობილებაც იცვლება.

ყველა ქვეყნის ისტორიაში არის ისეთი ხანა, როცა მეფე სრული ბატონი ხდება ამ ქვეყნისა, ხოლო წინანდელი თავისუფალი ხალხი გარდაიქცევა ხოლმე მეფის „ქვეშევრდომად“. მეფის მხრით სახელმწიფოსი ასეთ დამორჩილებას ისტორიაში უზურპაცია ეწოდება. თუ ხალხი თვითმოქმედებას არ არის შეჩვეული და დიდ ყურადღებას არ აქცევს თვითმმართველობას, უზურპაცია ფართო და ძლიერია ხოლმე და ისტორიაც ამტკიცებს, რომ იგი ვრცელდება იმ დრომდის, სანამ ხალხი არ შეიგნებს თავის მონობას და თავიდან არ მოიშორებს თვითპყრობელობის უღელს. დასავლეთ ევროპაში ეს შეგნება ყველაზე ადრე მოხდა ინგლისში, მერე საფრანგეთში, ნახევარსაუკუნის შემდეგ გერმანიაში, ავსტრიაში და სხ.

მე-XI საუკუნეში ინგლისი ნორმანებმა დაიპყრეს და ადგილ-მამული ერთანეთში გაინაწილეს. ყველაზე მეტი ერგო მეფე ვილჰელმს, რომელიც იმ დროიდან გაძლიერდა და მისი მეფური უფლებებიც გამტკიცდა. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ინგლისს მართავდნენ უფლება-შეუზღუდველი მეფეები, მაგრამ, როცა მმართველებმა წრეს გადააცილეს და უზურპაცია მოინდომეს, ხალხი აღელდა და მეფეების სურვილს წინ გადაეღობა. აქედან იწყება მეფის ავტორიტეტის დაცემა, მისი უარყოფა და ბრძოლა ხალხსა და მეფეებს შორის. დაიწყო გამანათვის-უფლებელი მოძრაობა, რომელიც ხალხის გამარჯვებით გათავდა. მე-XIII საუკუნეში მეფემ გამოსცა ცნობილი აქტი — „უფლებათა დიდებული ხარტია“, რომლის ძალით ხალხს ძირითადი უფლებები მიეცა თავისუფლებისა. იმ დროიდან არც ერთ ინგლისელს დაპატიმრება და დასჯა არ შეეძლო არავის, გაუდა კანონიერ მოსამართლისა; ყოველგვარი ხარკები და გადასახადები მთავრობას უნდა აეკრიფა მხოლოდ საერო წარმომადგენელთა ნებართვით. ეს იყო პირველი და ბრწყინვალე გამარჯვება ხალხისა. მეფეები არა ერთხელ ცდილობდნენ ხალხის ამ უფლებების გაუქმებას, მაგრამ ხალხი ამ პოზიციას უფრო და უფრო ამაგრებდა და აფართოვებდა. ბოლოს, მე-XVII საუკუნეში ინგლისის ერმა იმდენად გაძლიერდა და განამტკიცა თავისი უფლებები სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომ მეფეებმა ფაქტურად სამუდამოდ ზელი აიღეს თავიანთ წინანდელ უფლებებზე და ხალხის სურვილს დაუმორჩილდნენ.

პირველად დაარსდა ზემო პალატა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ არისტოკრატები და მდიდარი მემამულენი. ამით მაგრად მოიკადეს ფეხი ახალ დაწესებულებაში და მეფეებს ჩაუღვენ კრიკაში. მეფეებმა ძალაუნებურად ხალხს სთხოვეს დახმარება და თავის მხრით არისტოკრატის შეებრძოლნენ. ამავ დროს ინგლისში თანდათან ისპობოდა ნატურალური მეურნეობა და შემოდოდა კაპიტალისტური. ხალხი გამარჯვდა, ქალაქები გაიზარდა, ტერიტორია გადიდდა, სამეურნეო ცხოვრება გართულდა და ფული სახელმწიფოს არსებობის მთავარ წყაროდ გადაიქცა. ეს ფული ხალხს შეჰქონდა ხაზინაში და ხალხიც მალე დარწმუნდა, რომ სახელმწიფო უფულოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებს. აქედან წარმო-

დგა მისი უფლება ხარკებისა და გადასახადების გაწერისა და სახაზინო ფულის დახარჯვისა. ისტორიკ გვიმტკიცებს, რომ პირველად საერო წარმომადგენლები გადასახადების გასაწერად მოიწვიეს. წინანდელ სახელმწიფოს სახელმწიფო ბიუჯეტში არავითარი განსაზღვრული გეგმა არ იყო. თუ საქირო ხდებოდა ახალი ხარჯი, მთავრობა პირდაპირ ხალხს მიმართავდა ხოლმე და ხალხიც იხდიდა საქირო ფულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხოვრება გართულდა და გაფართოვდა, საქირო გახდა წინდაწინვე შემუშავებულ და გამოანგარიშებულ ბიუჯეტის შედგენა. ინგლისში პირველად მე XVII საუკუნეში დაიწვეს ხარჯთაღრიცხვის შედგენა და განხილვა. წინადაც ყოველ ახალ გადასახადის გასაწერად და ამა თუ იმ საქიროებაზე ფულის დასახარჯავ და საგანგებოდ პარლამენტს იწვევდნენ ხოლმე, მე-XVII საუკუნიდან კი პარლამენტი მუდმივ დაწესებულებად გადაიქცა. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ადგენენ პერიოდულად. ყოველი ბიუჯეტი განიცდის ოთხ ხანას: შედგენა ბიუჯეტისა, მისი განხილვა, მიღება (დამტკიცება) და შესრულება განსაზღვრულ ხანის განმავლობაში, ამას მოსდევს ჩვეულებრივი ანგარიში აღმასრულებელ ორგანოს მხრივ

საერთო წესად არის მიღებული, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა მოამზადოს აღმასრულებელმა მთავრობამ, აღმინისტრაციამ. ჩვეულებრივად ყველა სამინისტრო თავთავისთვის ადგენს ხარჯთაღრიცხვას. მთავარი სამინისტრო ამ ხარჯთაღრიცხვებს არჩევს და ერთ სახელმწიფო ბიუჯეტად აერთებს. ამ მხრით სანტრეცსო წესი არსებობს პრუსიაში, სადაც ყოველი უმნიშვნელო დაწესებულება თავისთვის ადგენს შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტს. პრუსიის დაწესებულებანი მეტად ფრთხილად ექცევიან ციფრებს და ნამდვილ შემოსავალს ანგაზომობენ, ხოლო გასავალში შეაქვთ ისეთი ხარჯები, რომელიც აუცილებლად საქირონი არიან. ამ მართთ პრუსიას მთელ ქვეყანაზე პირველი ადვილი უქირავს. მისა შემოსავალ-გასავალი ისე ზედმიწევნით და დაწვრილებით არის გამოანგარიშებული, რომ დიდი დეფიციტი ან გადანარჩენი შეუძლებელია.

ინგლისში ხარჯთაღრიცხვებს ადგენენ ცალკე მინისტრები და შეაქვთ ფინანსთა სამინისტროში, რომელიც ყველა სამინისტროთა წარმომადგენლებთან ერთად ადგენს საერთო ხარჯთაღრიცხვას. ეს საერთო ხარჯთაღრიცხვა ფინანსთა მინისტრს შეაქვს პარლამენტში, რომელიც ან სკვლის მას, ან შეუცვლელად ამტკიცებს დიდი დრო უნდა ბიუჯეტის შედგენას საფრანგეთში. სანამ სამინისტრო დეპუტატთა პალატაში წარადგენდეს მომზადებულ ბიუჯეტს. იგი უნდა განიხილოს სამმა სპეციალურმა დაწესებულებამ. ამისთვის განსაკუთრებული საანგარიშო დაწესებულება არსებობს ყოველ სამინისტროში. ფინანსთა სამინისტროს საანგარიშო პალატა თავის მხრით ხელეორედ სინჯავს საერთო ხარჯთაღრიცხვას და უზგაფენის მინისტრთა საბჭოს, რომელიც საბოლოოდ ანგარიშობს მას და შეაქვს პარლამენტში.

ინგლისში მიღებული წესი ბიუჯეტის შედგენისა გაცილებით უფრო მარტივი და მოხერხებულია. ინგლისის ბიუჯეტი იყოფება ორ ნაწილად: შემოსავალი და გასავალი. გასავალი იყოფება სამ ნაწილად: სამხედრო, საზღვაო და სამოქალაქო. ყველა მათგანი განიყოფება თავებად. თითო თავს პარლამენტი ცალკე არჩევს და ამტკიცებს. საერთო რიცხვი ასეთ თავებისა ინგლისის ბიუჯეტში უდრის 150-ს. ინგლისის ბიუჯეტში სამოქალაქო ხარჯები დანაწილებულია

საგნებად (აღნიშნულია, თუ რა საქმეზე უნდა დაიხარჯოს), რუსეთის ბიუჯეტში კი იგივე ხარჯები დანაწილებულია სამინისტროებად (რომელ სამინისტროს რამდენი უნდა მიეცეს). ინგლისური წესი იმით არის კარგი, რომ ადვილად შეიძლება იმის გამოანგარიშება და გათვალისწინება, თუ რაზე იხარჯება ხალხის ფული, რას აქცევს მთავრობა უმთავრეს ყურადღებას და რას აპრობს შემდეგში. საერთო ბიუჯეტის განხილვით თავდება პირველი — მოსამზადებელი ხანა და იწყება მეორე — დამტკიცების ხანა.

კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში მიღებულ წესით, მომზადებულ ბიუჯეტს არჩევს ჯერ ქვედა პალატა და მერე — ზედა პალატა. ინგლისის ქვედა პალატა ბიუჯეტს არჩევს და ამტკიცებს ნაწილ-ნაწილად, ზედა პალატას კი შეუძლიან ან სრულიად მიიღოს იგი, ან უარსკყოს. მას უფლება არა აქვს ბიუჯეტის ერთი ნაწილი დაიწუნოს და მეორე მოიწუნოს. სანამ ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგებოდეს, ქვედა პალატა ირჩევს ორ კომიტეტს: შემოსავლისა და გასავლისას. ორივე კომიტეტი ამხადებს მოხსენებას ხარჯთაღრიცხვის შესახებ, რომელიც შემდეგ შეაქვს პარლამენტში. ორივე პალატის მიერ მიღებული ბიუჯეტი სესიის გათავებამდის ინახება ქვედა პალატაში, სესიის გათავების შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარეს იგი მიაქვს მეფესთან, რომელიც ამტკიცებს მას შემდეგის ზედწარწერით: „მეფე მადლობას უძღვნის თავის ქვეშევრდომებს, ეთანხმება მათ მოსაზრებას და ამტკიცებს“. საბიუჯეტო უფლება ნებას აძლევს ხალხის წარმომადგენლებს მიიღონ ან უარსკყონ მთავრობის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა მომავალ წლის შესავალ-გასავლისა. უფლება გადასახადების გაწერისა და მათის დახარჯვისა ინგლისის ერმა ათასი წლის ბრძოლის შემდეგ მოიპოვა. ეს უფლება შეადგენს ინგლისის ერის პოლიტიკურ თავისუფლების საძირკვეს. გერმანიის კონსტიტუციაში ეს უფლება მეტად ბუნდოვანად არის გამოთქვლილი და ეხლაც გერმანელ მეცნიერთა ნაწილი წინააღმდეგია ამ უფლების გამტკიცებისა და გაფართოებისა. მიზეზი ის არის, რომ მათ ეშინიანთ სახელმწიფო ანარქიისა და შიშობენ, ვი თუ საერო წარმომადგენლობა მთავრობასთან ბრძოლის დროს არ დაამტკიცოს სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა და ამით სახელმწიფო მანქანა შეაჩეროსო. ინგლისის ერს სრული უფლება აქვს მთავრობას ნება არ მისცეს გადასახადების გაწერისა და შემოსავლის დახარჯვისა, მაგრამ ეს უფლება დაწერილ კანონით კი არ არის მოპოვებული, არამედ ჩვეულებით. ბელგიისა, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის შტატების კონსტიტუციები ამ მხრით შესამჩნევად განსხვავდებიან ინგლისის კონსტიტუციისაგან. ზემოხსენებულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მთავრობას საერო წარმომადგენელთა ნებადურთველად არ შეუძლიან არც ახალ გადასახადების გაწერა და არც ერთ გროშის დახარჯვა. ისტორიაში მრავალი მაგალითია, როცა შევიწროვებულ და გაქირავებულ ხალხს უარი უთქვამს მთავრობისათვის ბიუჯეტის დამტკიცებაზე. ინგლისში 1764 წელს დიდი შეტაკება მოხდა მინისტრ-პრეზიდენტ პიტისა და პარლამენტს შორის. ქვედა პალატამ უარი განაცხადა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებაზე. 1819 წელს საფრანგეთში დეპუტატთა პალატას და მთავრობას კოვლიქტი მოუხდათ. გამხეტისა და ეიულ ფერის რჩევით პალატამ უარი განაცხადა ხარჯთაღრიცხვის გარჩევაზე და გაიმარჯვა კიდევ. პრუსიის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ყოველ წლიური ხარჯთაღრიცხვა უნდა განიხილოს საერო წარმომადგენლო-

ბამ. მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა საერო წარმომადგენლებს, დაამტკიცონ ან უარჰყონ სამინისტროს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. გარდა ამისა, მე-109 მუხლში ნათქვამია, რომ „არსებული გადასახადები უნდა იკრიბებოდეს იმ დრომდის, სანამ არ შეიცვლება კანონი“. ცხადია, რომ ზემოხსენებულ მუხლის ძალით მთავრობას შეუძლიან გადასახადები აკრიფოს იმ შემთხვევაშიც, თუ საერო წარმომადგენლობამ არ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა. მაგრამ, როგორც ვიცით, ცარიელ, ლიტონ კანონს არავითარი ძალა და მნაშენელობა არა აქვს, თუ მას არაფერ არ ასრულებს. პრუსიაში ხუთი წლის განმავლობაში (1862—1866 წ.) პარლამენტი უარს ამბობდა ბიუჯეტის დამტკიცებაზე, მაგრამ მთავრობა მაინც აგროვებდა ფულს და ხარჯავდა. ამ მხრით ვერც ერთი სახელმწიფო და ერი ვერ შეედრება ინგლისს. ვინმე გეპლენმა უარი სთქვა იმ გადასახადის მიცემაზე, რომელიც პარლამენტისგან არ იყო დამტკიცებული. მთავრობამ გეპლენი დაატუსაღა. ამის გამო „მთელი ერი გაბრაზდა, იარაღს მოჰკიდა ხელი და იფეოქა განთქეულობა რევოლუციამ“ (მაკოლიე). უკანასკნელად, 1904 წლის დამლევის, ჰუნგრეთის პარლამენტი უარჰყო ბიუჯეტის დამტკიცება და ჰუნგრეთის მთავრობა ამის გამო დღესაც უკანონო მთავრობად ირიცხება.

ინგლისის ბიუჯეტში დღესაც არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელიც მუდმივია და პარლამენტი მის განხილვაში არ შედის. ამ მოვლენას სხვადასხვანაირად ხსნიან. გერმანელები უკვირებენ ინგლისელებს, ყვ ხალხის უფლებების შეზღუდვა არისო, რადგან პარლამენტს უფლება არა აქვს ზემოხსენებულ მუხლებში აღნიშნული ჯამი ან შეამოკლოს, ან მოსპოსო. ეს ყალბი აზრია, ინგლისში არ არის დაწერილი კონსტიტუცია. იქ დაწერილ კონსტიტუციაზე უფრო დიდი ძალა აქვს ჩვეულებას და ტრადიციას. ზემოხსენებულ მუხლების განხილვა რომ უნდოდეს პარლამენტს, ვერაფერ ვერ დაუშლის, მაგრამ ეს საკითხი არავის არ აინტერესებს. გარდა ამისა, როგორც ვთქვი, ინგლისის წესი ხარჯთაღრიცხვის განხილვისა შეტად მარტივია, რის გამო პარლამენტი მცირე დროს უნდება მის განხილვას. ზემოხსენებული მუხლები ბიუჯეტისა დიდ დროს აგებინებენ პარლამენტს. ასეა თუ ისე, ინგლისელებს ვერაფერ უკვირებს ერის უფლების შეზღუდვას.

როგორც ყველგან, ინგლისშიაც ხარჯ-აღრიცხვას ადგენენ განსაზღვრულ ვადით, რომელსაც საბიუჯეტო ხანა ეწოდება. ამ ხნის განმავლობაში ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნული მუხლები სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლისა უნდა გახორციელდეს. ჩვეულებრივად საბიუჯეტო ხანა ერთ წელიწადს უდრის, მხოლოდ გერმანიის ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში საბიუჯეტო ხანა ერთ წელიწადს აღემატება. ლაპარაკი არ უნდა, რომ მოკლე ვადის საბიუჯეტო ხანა სჯობია გრძელ ვადიანს.

საბიუჯეტო წელიწადი პრუსიაში და ინგლისში იწყება 1 აპრილს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სახელმწიფოს მოულოდნელი საქიროება უჩნდება, პარლამენტი კი იმ დროს დათხოვნილია. ასეთ შემთხვევაში ინგლისის მინისტრ-პრემიერს უფლება ეძლევა საქირო თანხა აიღოს განსაკუთრებულ ფონდიდან, რომელსაც ინგლისელები „სახაზინო ყუთს“ უწოდებენ. მთავრობა მოვალეა შემდეგში შეაგოს აღებული თანხა იმ სამინისტროს ბიუჯეტადან, რომელმაც დახარჯა ეს ფული. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ეს თანხაც არ ყოფილა საკმარისი. მაგალითად, 1875 წელს, როცა პარლამენტი დათხოვნილი იყო, საქირო გახდა სუეცის არხის 210

მილიონ მანეთის აქციების ყიდვა ხედვისგან. „სახაზინო ყუთში“ მხოლოდ 14 მილიონი იყო. იმ დროს სამინისტროს მეთაურმა დიზრაელიმ ბარონ როტშილდს სთხოვა თავის ხარჯით მთავრობისთვის ეყიდნა 40 მილიონის აქციები იმ პირობით, რომ პარლამენტი დაამტკიცებდა ამ ხარჯს და როტშილდს ვალს გადაუხდიდა. როტშილდმა ეს წინადადება მიიღო და აქციები იყიდა; პარლამენტმა ეს ხარჯი კანონიერად იცნო და დაამტკიცა.

საბიუჯეტო ხანის დასასრულს სამინისტრო ანგარიშს აძლევს პარლამენტს და ამაში გამოიხატება მისი პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. პარლამენტი საქირო ფულს მეფეს აძლევს, ხოლო მეფე ამ ფულს აძლევს ფინანსთა მინისტრს, რომელიც ხარჯავს მას თავის სახელით და პასუხისმგებლობით. ხაზინა ამ ფულს კერძო ბანკში ინახავს. ინგლისში ისეა მოწყობილი ფულის დახარჯვის წესი, რომ შეუძლებელია სახელმწიფო ფულის გაფლანგვა ამა თუ იმ ადმინისტრატორის მხრით. არც ერთი ადმინისტრატორი თავისთან ფულს არ ინახავს; ის საქირო თანხას იღებს ფინანსთა მინისტრისგან და მაშინვე აძლევს ანგარიშს.

„სახელმწიფო ქონება შუშის კასაში უნდა ინახებოდესო,“ — ამბობდა კავური და მისი სურვილი სავსებით განხორციელდა ინგლისში, სადაც ყოველი გროში ქმემოსავალ-გასავლისა ყველასათვის დასანახი და ნააელია. ყველას შეუძლიან გაიგოს, რაზე დაიხარჯა თითო აბაზი და მანეთი. ინგლისის ბიუჯეტში დაფარული და მინქალული არაფერია. ამ მხრითაც ინგლისის სახელმწიფოს ფინანსიური სისტემა საუკეთესოდ ითვლება მთელ ქვეყანაში.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ლ

(პ. ლავროვისა *)

პოლიტიკური ევოლუცია ორ შემდეგ მისწრაფებაში გამოიხატება: პირველია ის, რომ სახელმწიფოებრივი ელემენტი საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა თანახმად გამოიყოფა ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმებისაგან და ჰქმნის თავის სპეციალურ ორგანოებს; მეორეც ისა, რომ იძულებითი დამორჩილება უმრავლესობის სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობასადმი განისაზღვრება პიროვნებათა სულ მცირე და მცირე რიცხვით და ბოლოს იმ ზომამდე მიდის, რომ იგი (ხელშეკრულობა) უახლოვდება უბრალო საზოგადოებრივ კავშირის დებულებას. ორივე ეს მისწრაფება შეგვიძლია პროგრესიულად დავსახოთ იმიტომ, რომ პირველს სახეში აქვს სახელმწიფოს თეორიული ქეშმარიტება, ხოლო მეორე ცდილობს სახელმწიფოებრივ ფორმებში სამართლიანობის შეტანას. ორივე ამ მისწრაფების მიმდინარეობა ისეთია, რომ მათ შეუძლია კაცობრიობის ცხოვრებაში მინიმუმამდე მიყვანა სახელმწიფოებრივ ელემენტისა.

ძალიან ბევრმა პირმა გაატარა თავისი სიცოცხლე ისე, რომ არ უგრძენია სახელმწიფოებრივ ელემენტის სიმძიმე. სხვა და სხვა საზოგადოებრივ ფორმების როლები თეორიაში შეიცვალა. ოჯახის იდეალი შეიქმნა შეყვარებულთა თავისუფალი კავშირი და საზრიანი პედაგოგიური გავლენა უფროსებისა უმცროსებზე. ხელმძღვანელ ეკლესიის იდეალი შეიცვალა სინიღისისა და რწმენის თავისუფლების მოთხოვნად; ეკონომიურ ურთიერთობის იდეალი გახდა წარმოდგენა თავისუ-

*) დასასრული. იხ. „ვერია“ № 21,

ფალ, სოლიდარულ საზოგადოებაზე, სადაც საზოგადოებრივი პარაზიტები აღარ არსებობენ; სადაც გამჭარალია კონკურენცია და მისი ადგილი უჭირავს საზოგადო კოოპერაციას; სადაც ყველა შრომობს საზოგადო კეთილდღეობისათვის და სადაც თვით ეს შრომა შეიცავს სასიამოვნო განვითარების ელემენტებს; სადაც თითოეული წევრი საზოგადოებისა ღებულობს ყოველივე იმას, რაც საქირთა ადამიანის რიგიანად ცხოვრებისა და განვითარებისათვის.

ამრიგად, იძულებითი ელემენტი ყოველ სფერაში კარგავს ძალას და გავლენას. მართალია, ტრადიციული კულტურა კიდევ მხარს უჭერს დესპოტიზმს ოჯახში; კაპიტალი კიდევ სულსა ხდის პროლეტარიატს და „საზოგადოებრივ სინიღისის“ წარმომადგენელნი მსაჯულები, ვექილები და სხვანი ხშირად არიან კლასობრივ ინტერესების წარმომადგენელნი და დამკველნი. ხშირად ჩვენ თვალწინ იშლება საშინელი ბოროტ მოქმედების სურათი, მაგრამ ეს ხომ თითქმის აუცილებელი მოვლენაა იმ საზოგადოებაში, სადაც იდეით ხელმძღვანელობს შეგნებული უმცირესობა და მის წინააღმდეგ ამხედრებულია კლასობრივ თუ ჯგუფურ ინტერესებით გამსჭვალული უმრავლესობა. სხვა შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც მით უფრო მწვავედება, რამდენადაც მეტია შეგნება. ამ შემთხვევაში ბოროტება მოისპობა მხოლოდ თვით ამ ბრძოლის მოსპობით; აქ ბოროტება იხადება მხოლოდ ერთი კლასის იძულებითი — უკარგისი — მდგომარეობიდან. იძულებითი ელემენტის ყველა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა განაღებულია და ეს ბრძოლა კიდევ უფრო განაღდება იდეის გულისთვის. ამ იდელების ნაწილი უკვე თანამედროვე წყობილებაშია მოღის სისრულეში პიროვნებათა შორის თავისუფალ კონკურენციის სახელით; მეორე ნაწილი ასრულდება, როცა ამ კონკურენციის ალაგს დაიქერს საზოგადო კოოპერაცია. ბევრი მოახრე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებაში იძულებითი ელემენტის უკანასკნელი კვალიც კი გაქრება.

მაგრამ, რადგანაც საზოგადოებრივ ფორმების იდეალი ამცირებს იძულებითი ელემენტს, რამდენადაც ის მეტ თავისუფლებას თხოულობს, იმდენად უნდა დაცულ იქნას იგი ბოროტმოქმედებათაგან. უნდა გვახსოვდეს, რომ ზნეობრივი და გონებრივი მოქმედება ადამიანის მოქმედების ერთი სახეთაგანია. ამ მოქმედების გარეშე ადამიანი მოქმედობს ავტომატიურად, პირუტყვულ მისწრაფებათა თუ რუტინის ზედ გავლენით. იმეღა უნდა გვქონდეს, რომ, რამდენადაც კაცობრიობა წინ წაიწეეს, იმდენადვე შემცირდება ყოველივე ბოროტ-მოქმედება, მაგრამ სანამ ის არსებული ფაქტია, სანამ ზნეობრივი და გონებრივი განვითარება პიროვნებისა კიდევ ძალიან ბევრს თხოულობს, ჩვენც იძულებული ვართ სუსტი დავიფაროთ ძლიერთა ძალმომრეობისაგან. დაფარვა აუცილებლად ღებულობს იძულებითი ხასიათს და, მაშასადამე, თავის შორის იპყრობს სახელმწიფოებრივ ელემენტს, რასაკვირველია, აქაც ეს ელემენტი თავის მინიმუმისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ის მაინც არსებობს, სანამ პროგრესი ძირიანად არ შესცვლის ადამიანთა ზნე-ხასიათს და მიდრეკილებებს. პიროვნების და ადმინისტრაციის თვითნებობის თავიდან მოშორებისთანავე საზოგადოება ცდილობს თავის სახელმწიფოებრივი ორგანოები უპიროვნო კანონების აღმასრულებლად გახადოს და სახელმწიფოს როლი შეზღუდოს. როგორც მეოჯახზე, როგორც მორწმუნე, როგორც მონაწილე ეკონომიურ

წარმოებისა, — ადამიანი ცდილობს შეზღუდოს სახელმწიფო წყობილება, რომელსაც ის ნებისთ თუ უნებლიეთ ემორჩილება.

ცრუ იდეალიზაცია ყველა საზოგადოებრივ სფერაში უფლების მორჩილებისა თავის თავად ირღვევა კავშირთა თავისუფლებით. სახელმწიფოს ქვეშაირი იდეალიზაცია თხოულობს სამართლიანობას, თხოულობს, რომ სახელმწიფოებრივი ფუნქციები მინიმუმამდე იქნას მიყვანილი და ეს თანდათან შემცირება ამ ფუნქციებისა თანდათანობით დაეთმოს პიროვნებათა განვითარებას. ამ შემთხვევაში პროგრესის შემაფერხებლად გამოდის ის გარემოება, რომ საზოგადოებაში საქმარისის სისწრაფით არ მცირდება ძლიერ სახელმწიფოებრივ პრინციპთა და ტრადიციებით გატენილ პიროვნებათა რიცხვი; ასეთივე წელის ნაბიჯით მცირდება იმათი რიცხვიც, რომელნიც სახელმწიფოებზე ხელშეკრულობაში ძალით არიან ჩათრეული.

საზოგადოებრივ იდელების განვითარება ისე, როგორც სახელმწიფოს მფარველობითი როლი, დაფუძნებულია იმ წინადადებაზე, რომ კანონი საზოგადოებრივ ცხოვრების გამოხატულებაა. მაგრამ ეს არის ამ დღი პრინციპის ცრუ იდეალიზაციის ერთი ფორმათაგანი. კანონი ძალის თავად სრულიად არ შეიცავს ისეთ რამეს, რომლის ძალითაც იგი საზოგადოების განვითარებისათავე უნდა ვითარდებოდეს: პირიქით, იგი ბოროტებისა ხუთავს საზოგადოებრივ განვითარებას, ერთ წერტილზე ჰყინავს მას. ჩვენ შევივლით კანონი განვითაროთ, მას კი თავის თავად განვითარება არ შეუძლია. სამართლიანობა თხოულობს, რომ მან — კანონმა — დაეაროს იძულებითი ხასიათი ეს კი მოხდება კანონმდებლობაში საზოგადოებრივ ელემენტის გაძლიერებით. რამდენადაც კანონმდებლობა ვადაღის საზოგადოების ან მის წარმომადგენლების ხელში, იმდენად შესაძლებელი ხდება კანონების შესწორება და ასეთი თუ ისეთი განვითარება. საზოგადოების გამათხზსირებელ მმართველობის ფორმა, რომლის უფლება ჩვეულებით და ტრადიციებითაა შეზღუდული, იღებს პოლიტიურ-წოდებრივ სახელმწიფოს სხვა და სხვა ფორმებს, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს გავლენა აქვს საქმეთა მსვლელობაზე; შემდეგ ეს მმართველობა იყლინება უფლებრივ სახელმწიფოს მიზნებით, სადაც კლასობრივ ბრძოლის ეკონომიური პირობები ზღუდავს საზოგადოების უმეტესობის გავლენას. სახელმწიფოებრივი კავშირი თან და თან უახლოვდება საზოგადოებრივ კავშირს. სახელმწიფო ღებულობს ისეთ ხასიათს, სადაც ყველას მიუღია თავისუფალი ხელშეკრულობა, რომლის შეცვლაც მათსავე ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო ხელშეკრულობის იძულებითობა მცირდება და თან და თან კარგავს ძალას. სახელმწიფოს იდეალი ხდება წარმოდგენად ისეთ კავშირზე, სადაც ხელშეკრულობას თავისუფლად ემორჩილება ადამიანი.

მაგრამ შესაძლოა ასეთი იდეალის განხორციელება? შესაძლოა თუარა ასეთი მიმართულების საზოგადოებაში რაიმე მნიშვნელოვანი პროგრესიული მოძრაობა? ამ გზაზე არსებობს თუ არა რაიმე ბუნებრივი ან ისტორიული დაბრკოლება? ეს კითხვები გვებადება, როდესაც კულტურულ ხალხთა დღევანდელ მდგომარეობას შევადარებთ იმ იდეალებს, რომელნიც ახლა დავსახეთ და რომელთა განხორციელება ასე შორეული მანძილითაა დაშორებული ცხოვრებაზე.

ცოდნა და ხასიათის სიმტკიცე ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე პიროვნებას არ შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება და ისარგებლოს ამ თავისუფლებით ისე,

რომ არ შელახოს სხვების თავისუფლება. მაგრამ ცოდნა და ხასიათის განვითარება ისე ნაკლებად არის გავრცელებული ხალხში, რომ უმცირესობისაგან უმრავლესობის დამორჩილებაზე უკეთესს თანამედროვე წყობილებაში ვერაფერს უნდა მოელოდეთ. სახელმწიფო ყოველგან წარმოადგენს ჩვენ ვითარცა მასსა, რომელიც შობისთანავე ემორჩილება ამა თუ იმ კლდექს და რომელსაც დამნაშავედ ან მოლაღატედ აცხადებენ, თუ მან კლდექსის ამა თუ იმ მუხლის წინააღმდეგ რამ მოიმოქმედა, იმ კლდექსისა, რომლის განხილვა და შედეგნა მისთვის არავის უკითხავს. ამ მასიდან მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილი აღწევს იმ მდგომარეობამდის, როდესაც მას შეძლება ექნება კანონმდებლობითის გზით გაატაროს თავისი შეხედულობანი. ამ უმცირესობის მუშაობა ისტორიაში კვალ დაუნჩნევლად როდი ჰქრება. და, აი, მოწინავე ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეში უდგანან ხალხის წარმომადგენლები და მათი ამომჩრეველთა რიცხვიც თან და თან მატულობს. სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობის გადასინჯვის უფლება თან და თან ფართოვდება,—პატრიციები თანხმდებიან პლებების პოლიტიკურად გათანასწოებაზე; მესამე წოდება შეერია თავიდანსაწარმობას და სამღვდლოებას; პარლამენტები უკლებენ ცენზს; სრულწლოვან მამაკაცებს კანონით ეძლევათ საარჩევნო უფლება და ქალთა სწორუფლებიანობის დამცველთა რიცხვიც დღითი დღე მატულობს. მაგრამ, რაც უნდა ფართო იყოს საარჩევნო უფლება და რაც უნდა დიდი იყოს განსხვავება, მაგ, ჩრდილოეთ ამერიკის შტატების წყობილებისასა და აზიის რომელიმე სახანოს გინდ რუსეთის იმპერიის წყობილებას შუა, მაინც ამ ორ უკიდურეს ფორმებშიაც რჩება ერთი ზოგადი თვისება; აქაც და იქაც უმრავლესობა იძულებულია დაემორჩილოს იმ იურიდიულ ხელშეკრულებას თუ კლასობრივ ბატონობას, რომლის შესახებ ესენი უთანხმოებას აცხადებენ. სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის მაიძულებელი რამაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ უმრავლესობისათვის.

აი, აქ არის დამარბული სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობის სიმძიმე და აუტანლობა პიროვნებისათვის. ადამიანი დაიბადა განსაზღვრულ ადგილას, ეს ადგილი შეადგენს ნაწილს იმ ტერიტორიისას, რომელიც ისტორიულ მსვლელობათა გამო მოემწყვედა პოლიტიკურ ტერიტორიის ჩარჩოში, ადამიანი,—მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამ ტერიტორიაზე დაიბადა,—უკვე ვალდებულია დაემორჩილოს ადგილობრივ კანონებს, იმ კანონებს, რომელიც მისთვის ვიდაცეებს შეუქნა და მზა-მზარეულად დაუხვედრებიათ: აჰა, იგემო. ხდება ის, რომ ეს კანონები მას ავიწროებს, ხელს უშლის მის თავისუფალ ბუნებრივ განვითარებას და ამ რიგად აყენებს მას უკმაყოფილოთა ბანაკში. საშობლოს დატოვება,—ეს მწარე გადაწყვეტილებაა, რომლის მიღება ხშირად არც კი შეიძლება და ყოველ შემთხვევაში ძალიან ძნელია. დამორჩილება რწმენის წინააღმდეგ,—ეს ხომ ადამიანურ ღირსების და პიროვნების დამდაბლებაა. რჩება მხოლოდ ერთად ერთი გზა: გზა ბრძოლისა, რომელმაც ადამიანი რევოლუციონურ ან რევოლუციონურ ავანგარდში უნდა ჩააყენოს. აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებს, თუ რა საფრთხეში ავდებს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს მებრძოლ პოლიტიკურ პარტიების არსებობა და რა არე-დარევა შეაქვს ამ ბრძოლას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკმაყოფილოთა არსებობა აიძულებს სახელმწიფოს მთავრობას აუარბელი ძალა

და ენერგია დახარჯოს კანონებისა და თავის პრესტიჟის დასაცავად საზოგადოების თვალში. ეს კი საზოგადოებრივ ძალებს აკლებს შემოქმედებით უნარს; იწვევს საზოგადოებაში აშლილობას, უნდობლობას. ერთგან, მაგ., კონსერვატიული კრება აწვევს რომელიმე სასარგებლო და გააოცდელ იურისტს, რომელიც ცხოვრების ხალ ფორმების შექმნაზე ფიქრობდა, მეორეგან სამსახურიდან ითხოვენ ბოტანიკის პროფესორს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შეხედულება ეკონომიურ საკითხზე არ ეთანხმება მინისტრის ასეთსავე შეხედულებას და სხვ. რამდენადაც ვრცელია სახელმწიფოს ტერიტორია, იმდენადვე მეტი იქნება უკმაყოფილოთა რიცხვიც. საზოგადოებრივი ორგანიზმი სწეულდება ქრონიკულ უნდობლობით და მოუსვენრობით; ხშირად საქმე აჯანყებამდის ან მიდის მაგრამ საზოგადოებრივ ორგანიზმის ფიზიოლოგიურად წესიერი მოქმედება იშლება, თახსირდება და ადამიანებში იკარგება სოლიდარობა.

დიდი საფრთხე მოელის დიდ, ვრცელ ტერიტორიაზე გაქიმულ სახელმწიფოს, როდესაც კანონები იწვევენ უკმაყოფილებას არა პიროვნულს, არამედ ადგილობრივს; როდესაც ეს კანონები ხელსაყრელი და საყაბულოა სახელმწიფო ტერიტორიის ერთი ნაწილისათვის, ხოლო წინააღმდეგობას იწვევს მეორე ნაწილში. პოლიტიკურ ტერიტორიათა განსაზღვრა ისტორიაში ძალიან იშვიათად ხდებოდა. მაგრამ ის შემთხვევებიც კი, სადაც ასეთი განსაზღვრა მოხდა, თუ გინდ შეგნებულადაც, არ გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ეს განსაზღვრა საზრიანი და საბოლოოდ მტკიცე ყოფილიყოს. საზოგადოების მოთხოვნილება ამა თუ იმ ეპოქაში სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს მოთხოვნა ყველა ეპოქაში გამოხადდვი იქნება. განვითარებისათანავე საზოგადოებას შეუძლიან როგორც განმტკიცება კავშირისა თავის წევრთა შორის, აგრეთვე ამ კავშირის დასუსტება და განკერძოების სურვილის აღძვრა. სეპარატიზმს შეიძლება ჰქონდეს როგორც მოუსაზრებელი ისე ძალიან კარგადაც მოსაზრებელი და დასაბუთებული საფუძველი. მაგრამ სეპარატიზმს ყოველთვის შეაქვს თვით საზოგადოების არსებაში რყევა და დასუსტება. ეს დასუსტება უნდა ვიგულისხმოთ არა იმ აზრით, ვითომ სახელმწიფოს, რომელიც შეიცავს 100,000 ოთხკუთხ მილის სიგრძის ტერიტორიას, ჩამოაკლდება რადაც 20,000 მილი ან რამდენიმე მილიონი ფრანკი შემოსავალი. ამერიკის კოლონიების ჩამოშორებას ინგლისი არ დაუსუსტებია; ინგლისს ვერც ინდოეთის და ავსტრალიის სრული ჩამოშორება დაასუსტებდა. სეპარატიზმი თვით შიგნით ბადებს უკმაყოფილებას; ერთ ნაწილს საზოგადოებისას გულს უცრუებს საზოგადო საქმეებზე; მეორე ნაწილი იძულებული ხდება უსარგებლოდ ხარჯოს აუარბელი ქონება ფულითა და ხალხით სეპარატიზმის თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად. თუცა ხშირად სეპარატისტული მისწრაფებანი მიზანს ვერ აღწევენ, მაგრამ გამარჯვებულთა ღდამარცხებულთა გულში დიდხანს ინახება ეკვიანობა და მტრული განწყობილება. სეპარატიზმმა რომ კიდევ გაიმარჯვოს, მაინც საჭიროა დიდი დრო, რათა გუშინდელი ძალად შეკავშირებული მტრები მშვიდობიან მეზობლებად გადაიქცნენ და ერთად ძმურად გასწიონ საკაცობრიო ქაზანი. მხოლოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქარიშხალია და მისგან წამოყენებულმა იდეალებმა შეანელა ბრეტანისა და სამხრეთ საფრანგეთის დამოკიდებულება პარიზთან. აიტომ სახელმწიფოსთვის ვაცილებით მეტ საფრთხეს წარ-

მოადგენს, როცა მასში სეპარატისტული მისწრაფება იჩენს თავს, ვიდრე თვით სახელმწიფოს დანაწილება. პროგრესის მიზანია, სხვათა შორის, ისეთი პირობების შექმნა, რომ სახელმწიფოში არავის ჰქონდეს საბაზი სეპარატიზმის ასაღო-ძინებლად. ძალმომრეობა საფრთხეს მხოლოდ შეაჩერებს და ვერ მოსპობს კი; ეს საფრთხე კიდევ უფრო გააძლიერდება სახელმწიფოში ძალმომრეობის გაძლიერებისთანავე. ერთი რომ — იხრდება მოქალაქეთა შორის მტრული განწყობილება, მეორეც ის, რომ რეპრესიული ზომები ადამიანის ღირსებას ამდაბლებს და აჩერებს საზოგადო განვითარებას. საზოგადოებაში უქმყოფილების გაძლიერება და მოქალაქეთა ღირსების დამცირება ყველაზე უფრო ასუსტებს და ათასირებს სახელმწიფოს და ძირს სცემს მას მეზობელ სახელმწიფოების თვალში; ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ აქ მხოლოდ გარეგნულ ძლიერების მაჩვენებელი ხდება.

კრუ იდეალიზაცია სახელმწიფოს გაღივებაში ხედავს მის გაძლიერებას და მის დაპტარაფებაში კი სისუსტეს. რასაკვირველია, მოხდება, რომ სახელმწიფოს ასუსტებს რომელიმე ნაწილის ჩამოშორება, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როდესაც ეს ნაწილი ორგანიულ ელემენტებს შეადგენს მთელი სახელმწიფოსთვის და მას ძალით ჩამოგლეჯენ, როგორც, მაგ., გერმანიამ ძალით წაპკლიჯა საფრანგეთს ელზასი. ამგვარი წაგლეჯა ძლიერ ცუდად მოქმედობს სახელმწიფოზე. მაგრამ მას იმდენად რეალურად დასუსტება არ შეუძლია სახელმწიფოსი, რამდენადაც ზნობრივ გამწვავებას და ამ ჩამონაგლეჯის უკანვე დაბრუნების საშინელ სურვილს ან ამ სურვილის განსახორციელებლად მიღებულ ზომებს. ასეთ მტაცებლობას კიდევ უარესი პატოლოგიური გავლენა აქვს თვით წამგლეჯ მხარეზე. ამას ამტკიცებს პოლონეთის გაყოფა, რომელიც დღესაც გამათახსირებლად მოქმედობს ევროპას სახელმწიფოებზე, ამასვე მოწმობს ელზასი და ლოთარინგი თავის სეპარატისტულ მისწრაფებით. ის ნ.წ და ს.ხელმწიფოსი, რამდენად გააძლიერებს სეპარატიზმით, თავის ჩამოშორებათ მხოლოდ გააძლიერებს სახელმწიფო ორგანიზმს და სრულადაც არ დასუსტებს მას.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ წინ დვას ასეთი დილემა: — რამდენადაც პატარაა სახელმწიფო და, მაშასადამე, სუსტი საგარეო ბრძოლისთვის, იმდენად მის დამოუკიდებლობას ემუქრის გარეგანი ძალა, რადგანაც სახელმწიფოთა შორის პირველყოფილი მტაცებლობა კიდევ დაკულია; მას შეუძლია დაცვას თავის დამოუკიდებლობა გაღივებით და გაძლიერებით. მაგრამ ამასთანავე იხრდება სხვაობა მის ნაწილთა შორის, მცხოვრებთა ინტერესებშიაც, იხრდება უქმყოფილება პოლიტიკურ ცენტრსა და პროვინციებს, შუა და ამ რიგად სახელმწიფოს უმხადდება დიდი შინაური საფრთხე.

სახელმწიფოებრივ წყობილების პროგრესი ამ დილემის გადაწყვეტაშია. ეს კი თეორიულად შესაძლებელია ისე, რომ სახელმწიფომ შეირჩინოს თავისი საგარეო მნიშვნელობა და რაც შეიძლება ნაკლები შევიწროვება მიაყენოს ქვეშევრდომთ წვირლ ცენტრებში ფართო პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობით.

ჩრდილო ამერიკის შტატები წარმოადგენენ ვეებერთელა სახელმწიფოს, სადაც უმთავრეს ცენტრებს საკმაო დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული. ამ შემთხვევაში შტატები წარმოადგენენ საკმაოდ დიდ ერთეულების ფედერაციას. აქაც კი შტატის ყველა მცხოვრებნი ვერ იღებენ მონაწილეობას ასე თუ ისე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეებში; მაშასადამე,

არ შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მოქალაქე ან შტატის მცხოვრებთა უმრავლესობა თანახმა იყოს შტატის კონსტიტუციისა. ამ რიგად თეორიულად და პრაქტიკულადაც ცხადია, რომ ცენტრალურ კონსტიტუციისაზე იქნება ბევრი ისეთი ელემენტი, რომელთა საშტატო კონსტიტუციის ფარგალში გადაცემა აუცილებელი გახდება იმ პირობით კი, რომ შტატების მთლიანობა, როგორც სახელმწიფო ერთეულისა, არ დაიარღვეს.

ზემოხსენებული დილემა ჯერ არსად არაა გადაწყვეტილი; მაგრამ მისი გადაწყვეტა შეიძლება სახელმწიფოებრივ ცხოვრების შინაგან და გარეგან მხარეების უფრო მეტი განსახლვით. ეს შეიძლება განხორციელდეს ფედერატიულ წყობილების უკეთეს ფორმებში, მსგავსად ამერიკის შტატებისა, ან განსახლვრულ მიზნით დაარსებულ თავისუფალ დროებითს ფედერაციებში. მაშინ შეიძლება, რომ ადგილზბრივი პოლიტიკური ცენტრები გადაიქცენ თავისუფალ საზოგადოებრივ კავშირად; სახელმწიფოს მთლიანობა დაფუძნებული იქნება განების საფუძველზე და არა ისტორიულ იძულებაზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელშეკრულობა ერთის მხრით გახდება პიროვნებათა თავისუფალ ხელშეკრულობად, მეორე მხრით — ის იქნება შედეგი მეცნიერულ განვითარებისა. სახელმწიფოებრივ კავშირის ალაგს დაიქვრს თავისუფალ საზოგადოების კავშირი. მაგრამ ამ უკანასკნელ ფორმასაც უნდა შეეხედოთ, როგორც გარდაწველ ფორმას უფრო პატარა-პატარა ჯგუფებისა და ცენტრების თავისუფალ ფედერაციისაკენ; აი ასეთი მსოფლიო ფედერაცია აქვს სახეში თანამედროვე სოციალიზმს.

„მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ხომ არსად არისო, — გაიოცებს მკითხველი. — თანამედროვე სახელმწიფოები ერთმანეთს დარაჯად უღვანან, თან და თან იარაღდებიან და ცდილობენ თავიანთ მთლიანობის დაცვას კანონებით და სასჯელებით. სახელმწიფო ხელშეკრულობა თითოეულ ქვეშევრდომისთვის სავალდებულოა; აქაც ამ ვალდებულობას იცავს შიში სასჯელისა. მეცნიერება კი კათედრებსა და სამეცნიერო წიგნებს იკით არ მიდის.“ — რასაკვირველია, თანამედროვე სახელმწიფოებში, რა სახითაც ისინი არსებობენ, ძლიერაა აღბეჭდილი წარსული ისტორია და მისწრაფებაც ამ ისტორიისაკენ გაცილებით უფრო აღია, ვიდრე პროგრესისკენ. სახელმწიფო მექანიზმის კრუ იდეალიზაციას კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს. სახელმწიფოს ქეშმარიტი იდეალიზაცია, რომელიც მისწრაფვის სახელმწიფოებრივ ელემენტის მინიმუმისაკენ, ჯერ არა თუ განხორციელებული არაა, არამედ ის ძალიან ცოტას აქვს შეგნებული. მაგრამ აწყო წარსულის შედეგია. აწყოშიაც მოიპოვება პროგრესის სათავე და ეს პროგრესი კი მიდის ერთად ერთის გზით. ეს გზაა გზა რეფორმების, უფრო კი — რევოლუციის და ამ გზაზედ უნდა დააყენოს სახელმწიფო, ვისაც სურს ემსახუროს პროგრესს და ესმის მისი მნიშვნელობა.

მაგრამ სახელმწიფოებრივ ელემენტის შემცირების მომხრეობა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმას, რომ ჩვენ ვითომ ხელი უნდა ავიღოთ სახელმწიფოებრივ იარაღზე პროგრესის მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად. სანამ არსებობენ მონოპოლისტები კაპიტალისა, რომელთაც იცავს კანონი, და სანამ უმრავლესობას არ გააჩნია განვითარების ელემენტარული საშუალებანი, მანამ სახელმწიფოს ძალა აუცილებელი იარაღია, რომლის ხელში ჩაგდებას ცდილობს ყოველი — პროგრესიული გინდ რეგრესიული — პარტია. ჩვენ ვუყურებთ სახელმწიფო ძალას,

როგორც იარაღს რეგრესის წინააღმდეგ. მაგრამ პროგრესიულ პარტიას უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფოებრივ ძალას ისეთი თვისება აქვს, რომელიც თხოულობს მასთან მეტის სიფრთხილით მოპყრობას... ბრძოლაში იარაღის გაძლიერებაზე ზრუნვა ბუნებრივია, მაგრამ გაძლიერება სახელმწიფოებრივ ძალისა თავის არსებით პროგრესის წინააღმდეგია, თუ ეს გაძლიერება გამოწვეული არაა ამა თუ იმ კერძო შემთხვევით. სხვა დროს ამ ძალის გაძლიერება ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გძულებითი ძალის აძლიერებას და, მასთანადავით, თავისუფალ აზროვნების დახშობას.

თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ პროგრესის თვის სახელმწიფოებრივ ძალით ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში, ძნელი სათქმელია და ეს თვით შემთხვევაზე დამოკიდებული სანამ სახელმწიფო ძლიერი ფუნქციაა პროგრესის თუ რეგრესის სახელით ბრძოლაში, მანამ ყოველი პროგრესიული მოაზრე მოკალეა გამოიყენოს ეს ძალა მჩაგრელთა წინააღმდეგ და სრულ, ყოველ მხრივ თავისუფლების მოსაპოვებლად.

—ღან.

* *

(განმარტებული)

იმათ ქერ-ქვეშ ჯოჯოხეთი
მხიარულობს თავის თავად,
მაგრამ გულში ეკარებათ
შიში რაღაც უხილავად!..

ვერ აკავებს მას კედლები,
ვერც დარაჯი, ზარბაზნები,
მიღის, არღვევს ყოველივეს
რაღაც შურით ანავზნები!..

გულს უღრნის მას, ხალხის ზურგზე
ინავარდა ვინცა დღემდე,
ხან დასცინის გესლიანად
და აწამებს სამარემდე!..

ჰა, მტარვალო, განიცადე
შურის ძევა საშინელი;
თუმცა იგი შედარებით,
მოწყალეა და სულგრძელი:

ის არ ითხოვს შენგან ქმნილის
არავითარ შენანებას,—
წაგშლის ქვეყნად ერთის დაკვრით
და ეძლევა დავიწყებას!

და, მაშ, გასწი, შიშო გასწი,
დაბინავდი იმათ გულში,
ვინც ხალხის თვალს ემალება
და ჩამჯდარა ცხრა კლიტულში!

უნელმებელ ცეცხლად ენთე,
ულმობებლად სწვი და დავე
და სიცოცხლით სამარემდე
აწამე და შური ავქ!..

დ. თამაშვილი.

საქართველოს ეკონომიური ისტორია

პირველი ნაწილი (VIII—XIII საუკ.)

თავი პირველი

მიწის მფლობელნი და მიწის მომქმენი,—აზნაურები და გლეხები.

უძველეს ხანაში ქართველებმა არ იცოდნენ, რა იყო წოდებრივი უთანასწორობა. ეს მე-IX საუკ. ქართველმა ისტორიკოსებმა ლეონტი მროველმა იცის და ახსოვს, რომ ერთ დროს ქართველები თავისუფალი იყვნენ მდგომარეობისა და შეძლების განურჩევლად. წოდებრივ დამოკიდებულების პირველი კვალი პირველ საუკუნის დასაწყისს უკვე ეჩვენება, ეს ნათლად სჩანს ბერძნების გამოჩენილ გეოგრაფის სტრაბონის აღწერილობიდან. მაგრამ ამ დროს მართა მეთვის ანუ მამასახლისის საგვარეულოა ჰყავდა ემები, რომელნიც მიწაზე ისდენ და მათ პირნახულით და ყოველგვარ შემოსავლით ემსახურებოდნენ (ამის შესახებ ცნობები იხ. ჩემ გამოკვლევაში *Государст. строй древ. Грузии и древн. Армении, томъ I*). სამწუხაროდ, არავითარი წყაროები არ მოიპოვება შემდეგ დროის შესახებ, რომ მეცნიერს შეესწავლა, თუ როგორ მოხდა, რომ ემობა საყოველთაო და საზოგადო მოვლენად და დაწესებულებად გადაიქცა. ანუ როგორ დამყარდა საქართველოში წოდებრივი უთანასწორობა. ჩვენი საისტორიო მასალები მხოლოდ იმ დროინდელ საქართველოს შესახებ გვაძლევენ ექვიპოტანელ ცნობებს, როცა ერი უკვე გარკვეულ წოდებებად იყო დაყოფილი. მე-IX—XIII ს. ს—ში საქართველოს ერთი კუთხეც არ მოიძებნებოდა, მთიან ადგილებს გარდა, სადაც აზნაურები არა ყოფილიყვნენ: ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულნი არიან, მაგალითად, შემდეგი მაზრების აზნაურნი: ქართლოსანი (ზ. ქიქინაძის გამოც. გვ. 293, 294, 315, 427), ჰერეთ კახეთისანი (*ibid.* 294, 310, 326, 351, 427, 429), ტაოელნი (*ibid.* 315, 317, 318), მესხნი (*ibid.* 295, 327, 426, 427), ბავშნი (*ibid.* 343), აფხაზეთისანი (*ibid.* 301) და სომხითისანი (*ibid.* 427). ერთს სხვა თხზულებაში (*Государ. строй др. Грузии и др. Армении, томъ I*) გამოვარკვიე, რომ აზნაურობა გვარონობითი თვისებაზე იყო დამოკიდებული, უძველესს ხანაში განსაკუთრებით დიდგვარიანობაზე. ამ დიდგვარიან აზნაურებს ჩაუვარდათ ხელში ქვეყნის გამგეობის უფლება მას შემდეგ, როცა სპარსეთის სასანეთთა გვარის მეფეებმა საქართველოში მეფობა მოსპეს. ეს პოლიტიკური ძალა აზნაურებს მეფობის აღდგენამდე ხელში ეპყრათ და შემდეგ ხანებშიც, ქართველ ხელმწიფეებს დროსაც, ცდილობდნენ იგი კვლავინდებურად შეენარჩუნებინათ; მათს ცდას სრულებით უნაყოფოდ და ამოდ არ ჩაუვლია. ეს აზნაურები—გვარიან აზნაურებად იწოდებოდნენ და შესაძლებელია, რომ ისინი ძველ მამასახლისთა გვარების ჩამომავალნი ყოფილიყვნენ. როცა საქართველოში მეფობა განახლდა და გვარიანი აზნაურები თავიანთ უპირატესობის შერჩენისათვის ებრძოდნენ მეფეებს, მაშინ უკანასკნელებმა დააწინაურეს თავიანთი ერთგული მოხელეები, რომელთაც თავდაპირველად მცირედი თანამდებობა ექირათ, მაგრამ მეფეების მიერ თანდათან ამაღლებულ და განდიდებულ იქმნენ, რომ ერთგულ და მორჩილ ხელისუფლებსა ჰქონოდათ სამეფოს გამგეობისა და მართვის საქმე და გვარიან აზნაურებს მეფის ღალატი ველარ მოეხერხებინათ. ასეთ უგვარო, მაგრამ წამსახურებ მოხელეებს ქართველი მეფეები აზნაურობასაც უწყალობებდნენ ხოლმე და მამულებითაც უხვად აჯილდოვებდნენ. ამ ნაირად

შესდგა აზნაურთა ახალი ჯგუფი, რომელთაც მსახურეულ აზნაურებს ეძახდნენ ხოლმე (იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“). რასაკვირველია, ამ მსახურ აზნაურებს და გვარიან აზნაურებს შორის დიდი შური და მტრობა არსებობდა და უკანასკნელნი ახლად გააზნაურებულ გვარისშვილებს თავის ტოლად არასგზით არ ჩასთვლიდნენ, იმიტომ რომ თითონ გვარიანი და დიდი აზნაურები ბრძანდებოდნენ, ისინი-კი — უგვარო და მცირე აზნაურები; მაშასადამე, აზნაურობა და აზნაური იყო ხოლმე დიდი და მცირე (იხ. შიომღ. ისტ. საბ. გვ. 28. 1202 წ. საბუთი), გვარიანი და მსახურეული ანუ მსახური. რასაკვირველია, როცა დიდგვარიანი აზნაური იმავე დროს მსახურეულიც იყო, მაშინ იგი უფრო ამაღლდებოდა და პატივი მოემატებოდა. ასეთ დიდებულ აზნაურებს თითონაც თავისი ხელქვეითი ანუ მსახური აზნაურები ჰყავდათ; მაგალითად, ვაჰანის მონასტრის დამაარსებელი ერისთავთა ერისთავი მხარგრძელი იხენიებს „ჩუქნის სახლის აზნაურს და თუნდა მსახური... ნამსახური იუოს და სმპატოა აზნაურის შვილი“ (შიომღ. ისტ. საბ. 41). ასეთი დიდებულ აზნაურის მსახური აზნაური, ცხიანი, ღირსებთაც დაბლა იდგა და ვერც მეფის მსახურ აზნაურს და ვერც გვარიანს ვერ შეედრებოდა. საბუთებიდან ჩანს, რომ გვარიან და მსახურეულ აზნაურებს გარდა ზოგი აზნაური „მემამულედ“ ითვლებოდა, ზოგი კიდეც „მოსაკარგავედ“ • მეფე გიორგი II თავის 1072 წელს შიომღვიმისადმი ნაწყალობებ სიგელში ამბობს: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მენფთა, ერისთავთა ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთო“ (შიომღ. ისტ. რაბ. 12). უეჭველია, მემამულე აზნაურებდად გვარიანი და დიდგვარიანი აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საგვარეულო საკუთრება მამაპაპეულად დამკვიდრებული ჰქონდათ. ქართულ საისტორიო წყაროებში, სახელდობრ სუმბატ დავითისძის ქრონიკაში, აღნიშნულნი არიან აგრეთვე „უმბრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიცე ციხეთა და წამქლანთუ უცხოა“ (ე. თაყაიშვილის გამოც. სამი ისტ. ქრონიკა). მაშასადამე, ზოგი აზნაურები ციხიანი ყოფილან ციხე-სიმაგრეები ჰქონიანთ საკუთრებად, ზოგნი კიდეც უციხონი ბრძანებულან. უეჭველია, ციხიანი აზნაურები მემამულეები იქნებოდნენ. ჩვენამდის მოაღწია მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოს სამცხე, საათაბაგოს აზნაურთა ნუსხა და იქ, მართლაც, თითოულ გვარის შესახებ ნათქვამია მამულის გარდა საკუთარი ციხე აქვსო (იხ. Д. Вакрадзе. Археол. путеш. по Гурин и Аджарн. გვ. 79 და შემდეგი). მაგრამ ამ საბუთის ძალით მკვლევარს არ შეუძლიან ის დასკვნა გამოიყვანოს, ვითომც თითოულ მემამულე აზნაურს აუცილებლად ციხე უნდა ჰქონოდა და ციხიანი ითვლებოდა. მხოლოდ დადგარაან აზნაურებს ექნებოდათ საკუთარი ციხეები, მცირე და მსახურ აზნაურებს, თუ მათ მეფისაგან ციხისთავობის თანამდებობა ან ციხის პატრონობა ნაწყალობევი არა ჰქონდათ, ციხეები არ ეჭირებოდათ. ზემოაღნიშნულ სამცხე-სათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს ნუსხაშიაც სწორედ მხოლოდ დიდგვარიანები არიან ჩამოთვლილნი და იმის გამოა აღნიშნული, რომ ციხეები აქვთო.

ვინ იყვნენ „მოსაკარგავე აზნაურნი“, რომელნიც მემამულე აზნაურებთან ერთად არიან მოხსენებულნი? მოსაკარგავე აზნაურები, რასაკვირველია, მემამულისაგან განსხვავე-

ბული ყოფილან, თორემ მეფე გიორგი II თავის სიგელში მათ ცალკე რად დასახელებდა. „მოსაკარგავე სხვის დაკარგული საქონელიაო“, ამბობს ბ. ნ. ურნელი თავის საინტერესო გამოკვლევაში — „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“ (გვ. 214) და ეტყობა ეს სიტყვა დაკარგვისაგან ჰგონია ნაწარმოები. მაგრამ, მეგონი, რომ უნდა სცდებოდეს. ამ სიტყვის ახსნა ძალიან ძნელია და ჯერჯერობით მალოდ დაახლოვებით შეიძლება მის მნიშვნელობის გამოკვლევა. საბარბელიანი საქარგავს განსაგებელადა ხსნის, აღბად „განკარგვისაგან აწარმოებს, ქართლის ცხოვრებაში დავით აღმაშენებლის ისტორიაში ერთი წინადადება მოიპოვება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ამ სიტყვის მნიშვნელობა დაახლოვებით მაინც შეეიტყუთ. ისტორიკოსი ამბობს: მეფემ განათავსულენა არა მონასტრნი ოდენ ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭოვრებელთაჲს, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირასა და ბეკარისაჲს, რათა თავისუფალთ სამლოთო მსახურება მიუპყრან ღმერთსაო (გვ. 373). „მოსაკარგავ“ მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა, რომ ამ წინადადების აზრი ნათლად გავითვალისწინოთ. მწერალი მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელს მარტო მონასტრები კი არ განუთავისუფლებია ბეგართა გადასახადისაგან, არამედ მღვდლებიც, — რომ მარტო ღმერთზე ფიქრობდნენ და მას მხოლოდს მსახურებოდნენო. ამიტომ წინადადების შინაარსიდან ჩანს, რომ წინადადების პირველ ნახევრის — განათავისუფლა „მოსაკარგავთა მაჭოვრებელთაჲს“ — მეორე ნახევრის — განათავისუფლა „ყოვლისა ჭირასა და ბეკარისაჲს“-ს უდრას; „პირი და ბეგარა“ ერთი და იგივეა, ანუ გადასახადსა და ბეგარასა ერთნაწორება. ეხლა მოსაკარგავე მაქირვებელს“ რომ დავაკვირდეთ, მაქირვებელი, რასაკვირველია, „პირის“ ამლებს ანუ ამკრფს უნდა ნიშნავდეს; ამგვარად ეს სახელი გადასახადების მოჭრებ მოხელეს ერქმეოდა; მაშასადამე, „მოსაკარგავ“ ბეგარის განჭირვებულს ანუ მომწყობელს უდრას. ერთი სიტყვით ზემომოყვანილ წინადადებიდან ჩანს, რომ საგადასახადო დაწესებულებათა მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამისდამხედვეთ „აზნაური მოსაკარგავე“ მოხელე აზნაურს ანუ მეფის მსახურ აზნაურსა ნიშნავს იგი, რასაკვირველია, არც თუ დიდი მამულის პატრონი იქნებოდა და მემამულე ბ გვარიან აზნაურების წრეს დაშორებული უნდა ყოფილიყო.

წოდებრივ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, — საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შეძლებით ყველაზე მალა, უეჭველია, ის დიდგვარიანი აზნაური იდგებოდა, რომელიც მსახურეული იყო და საპატიო სახელმწიფო ხელისუფლობა ჰქონდა ნაბოძები, იმიტომ რომ საქართველოს მეფეები უხვად აჯილდოვებდნენ ხოლმე მოხელეებს. მაგრამ არც უგვარო, მეფის ერთგულ სამსახურით დაწინაურებული მოხელეები ჩამოუვარდებოდნენ შეძლებითა და პატივით გვარიან აზნაურებს, რომელნიც საპატიო სახელმწიფო სამსახურს მოკლებული იყვნენ. მეფეები არაფერს არა ზოგავდნენ, რომ მათი მომხრე მოხელეები ყველაფრით მჯობნი თავიანთ მეტოქე დიდგვარიან აზნაურებს, და დიდძალს მამულებს უწყალობებდნენ ხოლმე (იხ. „ქართ. ცხ.“. 407—8). მაშასადამე, შეძლებით უგვარო დიდებული ხელისუფლები დიდგვარიან აზნაურებს არ ჩამოუვარდებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ საისტორიო და იურიდიულ წყაროებში თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ როგორ ამუშავებდნენ მემამულენი თავიანთ საქმეებს, როგორ ამუშავებდნენ მიწას. „გრივოდ ხანძთელის“ ცხოვრებაში ორიოდ

ალაგი მოიპოვება, სადაც დიდებულ აზნაურის მეურნეობაზეა სიტყვა ჩამოგდებული, მაგრამ ისიც მეტად ბუნდად, გაკვირით. აზნაურს „თავის კაცება“ ჰყავდა (გრიგოლ ხანძთელის ცა, გვ. კე, პროფ. ნ. მარბის გამოცემა), რომელიც მას საკუთარ „ტაძარში ახლდენ“ ხოლმე (ibid. გვ. კე), და „მსახურების“ სახელი ერქვათ (ibid. გვ. ივ); მამაკაცებს გარდა „მსახური დედაკაცებიც“ ჰყავდათ ხოლმე აზნაურებს (ibid. გვ. ლე). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მთავრის ანუ ერისთავის სახლში მეურნეობის გამგეობას ქალს აბარებდნენ ხოლმე. მას „მეჭურქულე ქალს“ ეძახდნენ და ყველაფერი თვლით ჰქონდა მიცემული და თვლითვე უნდა ჩაება რებიანა, როცა სასახურს თავს დაანებებდა (ibid. გვ. ნზ). მეჭურქულე ქალს ხელქვეითი „მხველები“ ჰყავდა (ibid. გვ. ნვ, ნზ). ზოგჯერ, როცა ქმარი შინ არ იყო ხოლმე, ცოლი განაგებდა მამულის საქმეს (ibid. ნა). სამწუხაროდ, როგორ უძღვებოდნენ აზნაურები ხენა-თესვის საქმეს, ამის გამოკრევეა მასალების უქონლობის გამო შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ დავი თაღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს დიდებულ აზნაურებსა და მოხელეებს დიდი შეძლება უნდა ჰქონოდათ; მარტო სახელო და ნაბობები მიწები, ზოგჯერ მთელი ქვეყნებუც-კი სრულებით საქარისი იყო, რომ ალურგბელი ქონება შეეძინა ადამიანს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ გამოკვლევის საგანთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. საქირთა ვიცოდეთ, რამდენად შეძლებული იყო უბრალო, გვარიანი აზნაური, რომელსაც მოხელეობით ზურგი გამაგრებული არა ჰქონდა. პირდაპირი ცნობები ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში გამოთქმულია ერთი მოსახრება, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა შეძლება ჰქონდა მე XI საუკუნის ქართულ ოჯახს. ცხოვრების ავტორი ამბობს: არა უმეცარ ხარ შვილთა ზრდასა, .. რამეთუ უკუთუგის განუმრავლდენ შვილთა უფროს რიცხვსა, ვითარ არს შვილთა გინა რვისა, რაზომ შვილთა იუოს დიდსა ჭირსა და ურჯას შთაფარდების, ხალხ უკუთუ გლახსა იუოს უოფლათურთ მჭარე არს ცხოვრება მისი და აღსაყუ ვაბათა (საეკლესიო მუხ. გამოც. გვ. 326) ცხადია, დიდი შეძლების პატრონი არ უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც შვიდ შვილზე მეტის გაზრდა ჭირსა და ურჯასა წაგებს. მე-IX საუკუნე, როცა საქართველო ჯერ კიდევ გაძლიერებული არ იყო, როგორც ეტყობა, დიდ აზნაურსაც-კი ქონება მოკარბებული არა ჰქონია, თორემ, განა, დიდის აბაულასადის ცოლი ბერებს მუყაითს მკას დაუშლიდა. * მართალია ჩემი ქმარი ერთს დლიურს ნამკალს დაგვირდათ, მაგრამ თქვენ ისე მარდად მიადექით, რომ ლამის სალამომდის მთელი ყანა გაათავოთო“ (გრიგოლ ხანძთელის ცა ibid. გვ. ნა)

აზნაურებს პირდაპირი დამოკიდებულება სოფლის გლეხებთანა ჰქონდათ. რომ უკეთესად გავითვალისწინოთ, რა ნიორი და რაზე დამყარებული იყო ეს დამოკიდებულება, საქირთა თავდაპირველად გლეხების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა შეეისწავლოთ.

სიტყვა გლეხი ძველი ქართული სიტყვაა. განსვენებულმა მეცნიერმა მ. ბროსემ აღნიშნა უკვე, რომ სომხური სიტყვა *գլխիչ* (გურგუიკი) ქართულ სიტყვას გლეხს მიეგვანება (Description Géogr. de la Géorgie, გვ. 9) გლეხებს, რაკი ისინი სოფლად და დაბებში სცხოვრობდნენ ხოლმე, სოფელქნი ერისკაცი, (გრიგ. ხანგთ. ცა, ibidem. ია), ანუ კაცი „მდაბიონი“ (ibid. გვ. ნე) ერქვათ. თავისუფალი იყვენ ეს „მსოფლიო“ და „მდაბიო“ ხალხი, თუ არა? საერთო

პასუხის მიცემა, რასაკვირველია არ შეიძლება: ზოგი თავისუფალი იყო ზოგი კიდევ ყმებად ითვლებოდა. თავდაპირველად ჩვენ იმის საბუთებს მოვიყვანთ, რომ საქართველოში მე-IX—XIII ს. ს. თავისუფალი გლეხები არსებობდნენ, როცა ისტორიკოსი სუმბატ დაითის ძე აშოტ კურაპალატის შავშეთ კლარჯეთში დამკვიდრების ამბავს მოგვითხრობს, აღნიშნავს რომ არაბების შემდეგ იქ, მკირელდა დაშთეს კაცი ადგილ-ადგილ, ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულით და სიყვარულითაო თაყიშვილის სამი ისტ. ქრ. გვ. 52). ჩვენა ვხედავთ, რომ შავშეთის ხალხი სრულებით თავისუფალია და როგორც უნდა ისე სწყვეტს თავის ბედიბალს. მაგრამ შეიძლება ეკვი დაიბადოს იქნებ ხალხი ამ ქვეყანაში იმიტომ არის თავისუფალი, რომ არაბებმა ნაცარტუტედ აქციეს იგი, ერი დააწიოკეს და მემპულცი ამოსწყვიტესო. ისტორიკოსი თითონვე ამბობს „კევი შავშეთისა უშეეებელ იყო მაშინ გარეშე მკირელთა სოფელთასაო (ibid. გვ. 52 და გრიგოლ ხანძ. ცა, გვ. ა).

ეტყვათ ზემომოყვანილი ცნობა მართლაც დიდი ნდობის ღირსი არ არის, თუმც-კი ძნელი საფიქრებელია რომ ყველა მემამულეები ერთბაშით ამოეწყვიტათ არაბებს; ჩვენ მოვიყვანთ სხვა რამდენიმე საბუთებს, რომლებიდანაც ჩანს, რომ გლეხი მიწის სრული მესაკუთრეა, მაშასადამე მებატონისაგან დამოუკიდებელი და თავისუფალია. ნიკორწმინდის მე XI-ს. სიგელში სახელდობრ ნათქვამია: ჯინქარის ძისა გლეხისაგან ვოუდე ნათხსად ვენახისაჲ. ჩუენთანა ედვა და დავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ... მუნვე მეტეხარას ჯინჯინობისაგან ვოუდე ვენახი ჩუენსა გლეხსათანა ედვა და მივეც ფური... ქრონიკები II, 45 საწირისევე ღთის მშობლისა გლეხსაგან ვოუდე ვენახი და მივეც ფური“-ო (თ. ჟორდანი. ქრონიკები II, 48). ყელა ეს გლეხები მამულის სრული პატრონები არიან, თავიანთ ქონებას თავისნებისამებრ. ჰყიდიან; შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი გლეხი იყო ეკლესიის ყმა იმიტომ, რომ მას მკიდველი ღთის მშობლის გლენს უძახის, მაგრამ ისიც მამულის მესაკუთრე ყოფილა. ჩვენამდის მოაღწია კიდევ ერთმა სიგელმა 1250-60 წ. სადაც მოხსენებულია თავისუფლად მოსიარულე გლეხი, რომელიც სავენახე ადგილებს იღებს გასაშენებლად და თავის ოფლითა ცხოვრობს. სიგელში სწერია: „რუტოს საკურახხელისა სავლესოს ვენახსა ზა კენი ვანე სსდამად იუენესაწამემ-მულენი მიწაჲ ვენახად აქუნს და იგენა კენი კადე წაიადესო. (შოთ მლ. ისტ. საბ. 59). ყურადღების ღირსია აქ ის ცნობა, რომ ვენახის გამშენებელნი არამემამულენი ყოფილან, ე. ი. ის მიწა რომელიც მონასტრისაგან გასაშენებლად აუღიათ, მათი საკუთრება არა ყოფილა, რომ, როცა თავიანთი პირობა აუსრულებიათ და უეკველია შრომის ფასი მიუღიათ, სხვა ადგილას წასულან. ერთი სიტყვით ისანი თავისუფალი გლეხები არიან, ხან ერთგან იღებენ მაწას სავანსოდ, ხან მკორე ადგილას და თავიანთ შრამით თავს ირჩენენ. ამგვარივე „გარეთ მოსული“ გლეხი თამარ მეფის შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაწყალობებ სიგელშიაც არის მოხსენებული (ibid. გვ. 27). მაშასადამე ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოში მე-IX—XIII ს. ს. თავისუფალი გლეხები იყვენ.

მაგრამ ზემომოყვანილი საბუთებშივე შეგვხვდა ცნობები ყმების შესახებაც, მაგალითად საეკლესიო გლეხების შესახებ იქ სადაც ნიორწმინდის სიგელში ნათქვამია „მუნვე მეტეხარას ჯინჯინობისაგან ვიყიდე ვენახი ჩვენსა გლეხსათანა ედვაო“, სადაც მოხსენებულია „ღთისმშობლის გლეხი“. რა-კი ეს უკა-

ნასკნელი ვენახსა ჰყიდის, ეტყობა, იგი მისი საკუთრება იყო. მაშასადამე საეკლესიო ყმები მესაკუთრეები ანუ მემამულე-ნიც იყვენ. შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაბოძებ სიგელში მო-სხენებულთა სამეფო გლეხი, რომელსაც „სასეფოს“ ეძახდენ (შიომღ. ისტ. საბ. 26) და იქიდანა ჩანს, რომ სასეფო გლე-ხებსაც საკუთრება ჰქონიათ. იქ პირდაპირ არის ნათქვამი: „ესე მიწანი... ვენაჲი ჰქონდეს მათ გლეხთაო (ibid. 27). რომ სასეფო და საეკლესიო ყმებსაც საკუთრება ჰქონდათ, იმითი მტკიცდება, რომ შეწირვის დროს მათ „მათითა სახლითა მამულთა ნასეფითა და უსეიდელთა“ სწირადენ (ibid. 27). იყვენ აგრეთვე საბატონო ანუ აზნაურების ყმებიც, მაგრამ მათ შესახებ იმ დროინდელი ცნობები ძალიან ცოტა მოი-პოვება.

საბუთებიდან ჩანს, რომ ვეჟლა უმა გლეხები რა უოფიანს მემამულეებად; იყვენ ისეთნიც, რომელთაც ზატონები ჰქუადენ ცაღ-ცაღკე უმამულად. უეჟელია, საკუთრება არა ექნებოდათ. მაგალითად ნიკორწმინდის სიგელში სწერია: ვარაზაჩემ შემოს-წირა ძასა მისისათვს ფუთს გლეხი: მ... წირაქვალელისა ძემან შემოსწირა გლეხი: ბ: და მას თანა შემოატანეს ჯორი: ა; ძოლოა: ა; კრძალი: ა; (ქრონიკები II, 45)... შქმერს ვეჟ-დე შქვადმასჯან გლეხი: ა... ვეჟადე ცხაღათს გლეხა აბულახ-ტარისაგან: ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი: სტავრაჲ კაბაჲ ა: დრაჰკანი კონსტანტინატი: გ: და ავშარა რკინისაი“ (ibid 48) ყველა ეს გლეხები კერძო ზირების უმები არიან, აქნებ მემამულე აზნაურებისგან უოფიდაფუნენ და, როგორც ჩანს, უფლებას ძალიან მოკლებული ყოვილან იმიტომ, რომ მათ ისე ყიდიან ვითარცა სავანს და როგორც რომაელები ეძახდენ, „instrumentum vocalis“ წარმოადგენდენ. ზემომოყვანილ ნაწყვეტიდანა ჩანს, რომ გლეხს სხვა და სხვა ფასი ჰქონდა, ზოგიძვირად იყო ნაყიდი, ზოგი კიდევ ერთი ფურის ფასად. სამწუხაროდ საბუთ-ში აღნიშნული არ არის, რაზე იყო დამოკიდებული ამგვარი ფასების განსხვავება: პირად ღირსებაზე თუ სხვა რაიმე მიზეზ-ის გამო.

ყველა გლეხებს, მღვდმარობისა და შეძლების განურჩე-ველად, „მსოფლიონს“ ეძახდენ. მაგრამ რას წარმოადგენდა „მსოფელი“, ვინ განაგებდა მას? ყველა „მსოფელიონი“ ერთ თვითმმართველ საზოგადოებას ან საგამგეო ერთეულს შე-ადგენდენ თუ არა? იქნებ თვითმმართველობა თავისუფალ გლეხებსა ჰქონოდათ, თორემ სასეფო საეკლესიო და სააზ-ნაურო გლეხებს, როგორც საბუთებიდანა ჩანს, ამ დროს (IX-XIII) თვითმმართველობის ნიშანწყალიც არ ეტყობათ. სო-ფელში გამგედ „სოფლის მამსახლისი“ იყო; თუმცა ეს თა-ნამდებობა პირველად გვხვდება ბაგრატ IV-ის კანონების ერთს ნაწყვეტში, რომელიც ათაბაგ ბექა და აღბულას სამართალ-შია შეტანილი, და შიომღვიმის 1227-30 წ. სიგელში შიო მღ. ისტ. საბ. 53-54), მაგრამ იგი უძველეს დროიდანვე არ-სებობდა საქართველოში და საგვარეულო წესწყობილების ნაშთად უნდა ჩაითვალოს (იხ. ჩემი Государ. стройн др. Грузин. и др. Армении); მამასახლისს გარდა სოფლის გზარდ არის მოხსენებული ზემოდასახელებულ შიო მღვიმის სიგელში (შიო მღ. ისტ. საბ. 54). სწორედ ამ საბუთიდანა ჩანს, რომ მამასახლისი მთელი სოფლის საქმეს არ განაგებდა და მას ყველა გლეხების საურავი არ ეკითხებოდა. სამონასტრო და საეკ-ლესიო ყმების საქმეებს მონასტრისა და სამღვდელთა მიერ დანიშნული გამგე ანუ ხელისუფალი დაურებდა ხოლმე. თუ ჩვენს კვლე-ვაში მღვდლის წიგნიდანა ამბობს ქართლის ერისთავი გრი-გოლ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს და

მღვიმისა კაცისა თვით შემღვიმისა კელისუფაღმან აიღოს“ (შიო მღ. ისტ. ს. 53). რაკი ამ სიტყვებს ქართლის ერისთავი სწერს, ამიტომ „ჩუენის კაცისაგან“ ან იმის საკუთარ ემა-გლეხებს უნდა ნიშნავდეს, ან სააზნაურო და სასეფო ყმებს, რომე-ლიც მას, როგორც ქართლის უმათავრეს ხელისუფალს, ექვე-მდებარებოდენ. საეკლესიო გლეხები ერისთავის მამასახლისს არ ექვემდებარებოდენ და რასაკვირველია, არც შეიძლებოდა, რომ სა-ეკლესიო უმებს დანარჩენ სოფელეთან საერთო სასოფლო დაწე-სეულება ჰქონდათ, საბუთებიდან ჩანს, რომ შემღვიმის ხელი-სუფაღი“ მონასტრის (მამასახლისისა და ბერების) დაქვემდებარე-ბაში იყო და არა თვით ხატის გლეხების არჩეული (ვაჰანის ძე-გლი, თავი 3, შიო მღ. ისტ. საბ. 39). ამ გვარად, იმ სოფ-ლებში, სადაც გლეხები სხვა და სხვა დაწესებულებათა ყმე-ბად ითვლებოდენ, საერთო თვითმმართველობა არ არსებობ-და. მაგრამ, იქნებ სასეფო და საბატონო ყმებსა ჰქონდათ თვითმმართველობა? ამ საკითხზე პასუხის მოცემა ძეგლითა. ერისთავის სიტყვები: მამასახლისმან ჩუენმან (ibid. 53), „მამასახლისი ჩნი (ibid. 54).—მგონი, უნდა გვიჩვენებდეს, რომ სოფლის მამასახლისი ერისთავს დანიშნული უნდა უოფი-დაფი და არა გლეხების არჩეული; მართალიც, სასეფო და საბატონო ყმების არჩეული რომ ყოფილიყო იგი, განა, არჩევენი ში საეკლესიო ყმები-კი არ მიიღებდენ მონაწი-ლეობას, ან არა და, განა, მათი სასამართლო და დასაუ-რებელი საქმე მამასახლისს არ ეკითხებოდა? საბუთებს ეტყობა, რომ სოფლის წესწყობილებაში IX—X-ს. ვაცილებით უფრო ადრე ბევრი არსებითი ცვლილება უნდა მომხდარიყოს; ამის გამო ერთ დროს უძველესს ხანაში, რასაკვირველია, სოფლე-ლებს სამამასახლისო თვითმმართველობა ექნებოდათ, მაგრამ IX—XIII საუკ. ს. შესახებ ამის დამამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება. პირიქით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ სოფლის გლეხების მართვ. გამკაცობა რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი უმების კუთვნილების დაჯგუფად: სამონასტრო გლეხებს ცალკე მმართველი ჰყავდათ თავზე დაყენებული, სასეფო და სააზნაუ-რო ყმებს ცალკე. ზემოთ გამოკვეთული იყო, რომ სასამარ-თლო საქმეები სოფლად გლეხებს შორის, საეკლესიო უმებს გარ-და, სოფლის მამასახლისს ეკითხებოდა ხოლმე; მაგრამ ყოველ-თვის ასე არა ყოფილა. ბაგრატ მეფის კანონების ერთ ნა-წყვეტიდანა ჩანს, რომ სამოსამართლო მოვალეობა მას მხო-ლოდ მე-XI საუკუნეში ჩააბარეს. „ვინც მოძღვარი იყოს ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცო იყოს, ან კარგი სოფლის მამასახლისი იყოს... ის დასვთ ბჭედ“ (ათაბ. ბექა და აღბულას, სამართალი 5 რა). ბაგრატ მეფეს, ეტყო-ბა, სასამართლოს წყობილება შეუცვლია და კერძოდ გლეხე-ბის შორის უთანხმოებათა გასარჩევად მამასახლისი დაუნიშ-ნია. მაგრამ მეფის სიტყვა—„კარგი“ მამასახლისი—გვაფუქრე-ბინებს, რომ იქნებ მოსამართლე თითოეულ სოფელში კი არ იჯდა, არამედ რამდენიმე სოფელში ერთი. ვინ იყო ხოლმე ჩვეულებრივ სოფლის მოსამართლე, ვიდრე ბაგრატ ზემო-მოყვანილ წესს შემოიღებდა, საბუთებიდან არ ჩანს. საეკლესიო უმები საზოგადოდ კათალიკოსის საზრთაღს და მის შიურ დაქვე-მდებარე მონასრთლეს ექვემდებარებოდენ, ეს ცხადად ჩანს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ნაბოძებ ანდერძიდან (იხ. შიო მღ. ისტ. საბ.); მაგრამ იქნებ ყოველთვის ასე არ იყო. მხო-ლოდ ზოგიერთ მონასტრებს უმარტკიცია მინიჭებული ჰქონდათ სა-კათალიკოსო სამართალის მავიერ თავთავანთი „ბჭეები“ ჰქუადდათ. შიომღვიმის მონასტრის ასეთი უფლება დავით აღმაშენებელმა უბოძა (ibid). როგ უთანხმოება და დავ, ან სისხლა საეკლეს-

სიო და სსსეოთ ან სსსსსურთ ეშებს შორის ჩამოვარდებოდა ხოლმე, მაშინ მამასხდისი და ხედასუფალი ერთად აწვედენ სსქეს და სსურთო კანაჩეს და ადგენდენ ხოლმე. მე-XIII საუკუნეში სოფლის მოსამართლეებს—მამასხდისის და კლეხის ანუ მანსტრის ხელისუფლებს თითონვე მოჭევდათ აღსრულებაში თავიანთი კანაჩენი; ამას მაშინ სსმართლის აღებას ანუ „სსმართლის დაურება“-ს ეძახდნენ (იხ. შიო მლ. ისტ. საბ. გვ. 54, 1227—30 წ. სიგელი). მხოლოდ, როცა შეერთებულ სსსმართლის კანაჩენი იყო ასასრულბელი ან დასურგებელი, მაშინ ის მოხელე იღებდა ხოლმე სსმართლს, რომლის გლეხიც გამტყუნდებოდა (ibid).

ზემოთ ჩვენ გლეხის საკუთრებაზე გვეკონდა ლაპარაკი საზოგადოდ. ეხლა საქირთა ამ საკუთრების რაოდენობის ან გლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვევას შევედევით. ამ მიწას, რომელიც გლეხს ჩვეულებრივ ეჭარა ხოლმე და რომელზედაც იგი იჯდა, „ფუძე“-ს ეძახდნენ. შიო მღვიმის მონასტრისათვის შეწირულ სიგელში ტობაძე ასახელებს: „ერთი ფუძე-გლეხი დაოთს ვაჟმაზისძე... (მწირ) ველოა მით ორითა ფუძითა. ორი ესე მისა მიმდგომი ორი ფუძე გლეხი“ (შიო მლ. ისტ. საბ. გვ. 24). თამარ მეფის წყალობის წიგნში ნათქვამია: „მის წლისა... სათავესა ზედა გლეხი (სასეფო) ზის მიწად ერთი და კუშიად ორი“-ა (შიო მლ. ისტ. საბ. 26). ცოტა ქვეით იმავე საბუთში სწერია: „გლეხი ფუძედ ერთი და კომლად ორიო“ (ibid. გვ. 28). მაშასადამე, ამ ორ წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ განსაზღვრულ რაოდენობის მიწას, რომელზედაც გლეხი იჯდა ხოლმე, „ფუძეს“ ეძახდნენ. რაკი ეს მასალები სასეფო გლეხებსაც შეეხება, და საეკლესიოსაც, ეტყობა „ფუძე“ და „კომლი“ საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს. რამოდენა იყო ეს ფუძე? ზემოთმოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, რომ ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჯდარიყო ერთის მაგიერ; ფუძე არ იცვლებოდა, ოჯახი-ცა, შეიძლება, კომლობრივ გამრავლებულიყო. რამდენი დღიური იყო ფუძე, ამის გამოკვლევა, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება. მწიგნობართულები და ვაზირი ანტონი ზემოაღნიშნულ ორ კომლად მცხოვრებ ერთ ფუძე გლეხის შესახებ სწერს: „მათ გლეხთა ორთავე სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას სახელდებით ბოტკოს და დიდვალს დღისა ათას და წყაროსისა თავსა ორასა დღისა და ვენახი“-ო (შიო მლ. ისტ. საბ. 28). მაშასადამე, ფუძე თორმეტ დღიურ მიწას და ვენახს უდრის, ანუ თითო კომლს დღიური მიწა და ნახევარი ვენახი ერგებოდა. იქნებ მონასტრებმა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივზე ცოტა მეტი მისცა, მაგრამ ამის ვალდობაზე ფუძის რაოდენობის წარმოდგენა დაახლოვებით მაინც შეიძლება.

ჩვენა ვნახეთ, რომ ზოგჯერ ერთ ფუძეზე უკვე ორი კომლი იჯდა; 1250—60 წ. სიგელში „არა შემამუღე გლეხები“ არაის მასხუნებულნი, რომელთაც, ალბად, თავიანთი მიწა არ ჰქონიათ ან აღარა ჰყოფნიდათ და სხვის მიწეს სსვენახოდა იღებდნენ იჯარათ. ეტყობა ფუძე ისე დაქუცმაცებული იყო, რომ დასამუშავებლად აღარა ღირდა და იძულებული იყვნენ სხვაგან წასულიყვნენ და იქ ეშრომათ ლუკმა ჰური. მაშასადამე, მე-XIII ს. სსჭრთველოში უკვე უმიწაწლო გლეხები ეფიქსნენ, რომელნიც მუშაობით ორწინდენ თავსა. საბუთებიდან ჩანს, რომ ისინი მიწებს იღებდნენ ვენახის გასაშენებლად, ან კორდსა სტეხავდნენ ე. ი. ახალ სახნავ მიწებს აკეთებდნენ. ეს შიომღვიმის სიგლიდან მტკიცდება: „რუეთს“ საკუთრებელისა საგლეხოსა ვენახსა

ხედა კაცნი ვინმე სსდომილ იფენეს არ შემამუღენი. მიწა ვენახად აქუნს და ივინი კაცი კიდე წაიდებს. (შიომღ. ისტ. ს. 59). ვენახის გაშენებაში შემამუღეს ან ნახევარი ვენახი უნდა მიეცა, ან ფულად დაეჯიდაოებინა. (ibid. გვ. 59, 60).

რაკი ფუძე გლეხის განსაზღვრულ მიწის რაოდენობას შეადგენდა, ამიტომ ფუძეზევე იყო გადაბეული გადასახადიც, ეს გიორგი II-ის შემდეგ სიგლიდან მტკიცდება... „მოგუხსენა... იოანე ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსმან... სიფლისსა, ავარისსა სსქმე... რომელი ჩუენისა ზრთხისა შემამა ეღვა ფუძესა ხედა“ (1082 წ. შიო მლ. ისტ. ს. 13). მაშასადამე, გადასახადი ფუძეს ეღვა. უეჭველად, მარტო ძროხის შებმა არ იქნებოდა ფუძეზე გაწერილი, სხვა გადასახადებიც ფუძეზე იქნებოდა დადებული. მაინც და მაინც ჩვენ ვიცით, რომ ვეულა უმთავრესი გადასახადები და ხარჯი მიწას, უძრავ საკუთრებას აწვა. მართალია, ამის დასამტკიცებელი საბუთი სამღვდლო კაცს შეეხება, მაგრამ უეჭველია, იგი ჩვეულებრივ წესს გვიხატავს, — არა მგონია, რომ სამღვდლოებისათვის შემოვლოთ ამ მხრივ განსაკურებული რამ რიგი. რომ გადასახადი მიწას ეღვა, შიომღვიმის შემდეგ სიგელიდან ჩანს: „შენ ზოსიმეს დედულსა, ზითვად მოცემულსა ზა სტეფანეი მამულისაგან, რომელსა მისხურთ არა ხედა აწ მისსა ნაცვალსა სტეფანეი ვარდახდის: სსეკლესიასა და სსმეფოსა სსმისხურსა — კულუსსა, დაღსა და უაგელსავე გამოსაღებულსა, ჰვარე მოცემულ არს ესე მიწა ზითვად“ (შიომღ. ისტ. ს. 1250-60 წ.).

ივ. ჯავახიშვილი

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

განსახადებანი

საქმასვილო ჟურნალი ნაკადული

სურათები
წელიწადი მეორე.

ხელას მოწერა მაილება რედაქციაში, წ. -კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარამ დემურის ბინაზე, ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოშვილის სახლში, № 8.



მოთხოვით ნამდვილი
„მოღვირნი“ მ. მ. ლეშაძისა

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას ღმეტხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში — საფთოთაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(წლ.)